პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 185 (10579)

პარასკევი, 10 აგვისტო, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა მთავრობის განცხადება სუეცის არხის საკითხზე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ (1-ლი გვერდი).

ი. ვიშნიაკოვი. — ხალხთა მეგობრობა რუსთავის მეტალურგთა წარმატებების საწინდარია (მე-2 გვერდი).

ი. თედიაშვილი. — სიმინდის ნაწვერალზე თესვა შეუწყნარებლად ჭიანურდება (მე-2 გვერდი).

ა. ბეშიძე. — მოვაცილოთ კოლმეურნეობას უღირსი ხელმძღვანელები (მე-2 გვერდი).

ლანჩხუთის რაიონი (მე-2 გვერდი).

ნ. რამიშვილი. — რა აფერხებს სწრაფად, მაღალხარისხოვნად, იაფად მშენებლობას? (მე-3 გვერდი).

პ. ხმალაძე. — თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები ქუთაისში (მე-3 გვერდი).

მშრომელები ეცნობიენ ბოქმე ელექტროსადგურის ხელოვნებას (მე-3 გვერდი).

კ. ჯოხიძე. — მდგომარეობა საბჭოთა ვეტერანებზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ვ. გაბელია. — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა (მე-4 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

სუეცის არხის საკითხზე

1956 წლის 3 აგვისტოს ინგლისის ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა უ. ჰეიტერმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს დ. ტ. შეპილოვს გადასცა ინგლისის მთავრობის ნოტა, რომელსაც დართული ჰქონდა ტექსტი ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა განცხადებისა იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ეგვიპტის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციას. დაიმოწმა რა ეს სამმხრივი განცხადება, ინგლისის მთავრობამ გადასცა საბჭოთა მთავრობას მიწვევა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, რომელიც განზრახულია მოეწყოს ლონდონში 1956 წლის 16 აგვისტოს „რათა განიხილოს ღონისძიებანი არხის შემდგომი მუშაობის უზრუნველსაყოფად, როგორც ეს გარანტირებული იყო 1888 წლის 29 ოქტომბრის კონვენციით“.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გააკეთოს შემდეგი განცხადება.

საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება სუეცის არხის ზონაში არსებული მდგომარეობის იმ შეფასებას, რომელიც მოცემულია სამი სახელმწიფოს განცხადებაში.

დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები, აღიარებენ რა ეგვიპტის, როგორც სავსებით სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს, უფლებას მოახდინოს იმ ქონების ნაციონალიზაცია, რომელიც ეგვიპტის იურისდიქციაშია, ამავე დროს ცდილობენ, საეჭვო გახადონ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ ეგვიპტის მთავრობის მიერ მიღებული აქტის კანონიერება. განცხადება შეიცავს სრულიად უსაფუძვლო მტკიცებას, თითქოს ეს კომპანია არის „საერთაშორისო ინსტიტუტი“, რომლის სტატუსის შეცვლა არ შეუძლია ეგვიპტის მთავრობას. ამასთან უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ სუეცის არხის კომპანია მისი დაარსების დღიდან, 1866 წლის შეთანხმებითაც კი, რომელსაც ეგვიპტის მიმართ არათანასწორუფლებიანი ხასიათი ჰქონდა, მიჩნეული იყო როგორც ეგვიპტის კომპანია, რომელსაც განაგებენ ეგვიპტის კანონებისა და ჩვეულების შესაბამისად. სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხთან, რომელსაც აწესრიგებს 1888 წლის სპეციალური კონვენცია. საქმის ისე წარმოდგენის ცდები, რომ თითქოს კერძო კომპანია, რომელიც ეგვიპტის კანონებს ემორჩილება, მიჩნეულ უნდა იქნას რაღაც საერთაშორისო ორგანოდ, რომელიც უზრუნველყოფს ნაოსნობის რეჟიმს სუეცის არხში, იურიდიულად სრულიად დაუსაბუთებელია.

ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა საკუთრების ნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების თანახმად, მოცემული სახელმწიფოს საშინაო საქმეა. სწორედ ასე მიაჩნდა ყველა ქვეყანას უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე სუვერენული სახელმწიფოების მიერ არაერთხელ მიღებული გადაწყვეტილებანი ასეთი საკუთრების ნაციონალიზაციის შესახებ, მათ შორის საკუთრებისა უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1952 წლის დეკემბერში მიიღო სპეციალური რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ხალხებს უფლება აქვთ თავისუფლად განაგონ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრენი და რესურსები. გენერალური ასამბლეა მოუწოდებდა სახელმწიფოებს თავი შეიკავონ მოქმედებისაგან, რომელიც არღვევს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს ამ მხრივ.

ამიტომ საბჭოთა მთავრობას ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილება სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ მიაჩნია სავსებით კანონიერ მოქმედებად, რომელიც გამომდინარეობს ეგვიპტის სუვერენული უფლებებიდან.

გამოდიან რა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, რომელიც ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ამას იმით ასაბუთებენ, რომ მათ აფიქრებთ სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფა. მაგრამ სუეცის არხის ყოფილი კომპანიის საკუთრების გადასვლა ეგვიპტის სახელმწიფოს ხელში არავითარ ცვლილებას არ იხდენს სუეცის არხში ნაოსნობის არსებულ რეჟიმზე.

ეგვიპტის რესპუბლიკის მთავრობამ I აგვისტოს ოფიციალურად განუცხადა საბჭოთა მთავრობას, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფოს მთავრობებს, რომ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია არავითარ გავლენას არ მოახდენს ეგვიპტის შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებზე და რომ ეგვიპტე სავსებით დაიცავს სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებას, რაც გათვალისწინებულია 1888 წლის კონვენციით. საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო ცნობად ეგვიპტის მთავრობის ეს განცხადება და მიაჩნია, რომ არ არის არავითარი საფუძველი რაიმე შეშფოთებისათვის ამ მხრივ, მით უფრო, რომ ეგვიპტე, რომლის ტერიტორიაზე გადის სუეცის არხი, დაინტერესებულია და შეუძლია უზრუნველყოს ნორმალური ნაოსნობა არხში არანაკლებ, ვიდრე რომელიმე კერძო სააქციო კომპანიას. სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციას სინამდვილეში სრულიად არავითარი გავლენა არ მოუხდენია ყველა ქვეყნის გემების შეუფერხებელ გავლაზე სუეცის არხში, რომელიც კვლავ მოქმედებს ისევე, როგორც მოქმედებდა ნაციონალიზაციამდე.

აქედან ჩანს, რომ ეგვიპტის მთავრობა სავსებით ითვალისწინებს სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების ღიად მნიშვნელობას და რომ შიში, რომელიც ამის გამო გამოთქმულია სამმხრივ განცხადებაში, დაუსაბუთებელია. უნდა აღინიშნოს, რომ, იკისრა რა ვალდებულება პატივი სცეს სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებას, ეგვიპტემ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება გადაუხადოს კომპენსაცია ამ არხის კომპანიის აქციების მფლობელებს.

ამრიგად, ეგვიპტემ განახორციელა სავსებით კანონიერი და სამართლიანი მოქმედება, იკისრა რა უზრუნველყოს ეგვიპტის ტერიტორიაზე არსებული და ეგვიპტელთა ხელით აგებული არხის ნორმალური მოქმედება. ის გარემოება, რომ სუეცის არხი დღემდე ათეული წლების მანძილზე იყო არა ეგვიპტის ხელში, არამედ უმთავრესად ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი კომპანიის ხელში, რომელიც ეგვიპტის არხს იყენებდა თავისი გამდიდრებისა და ეგვიპტის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, არ შეიძლება გამოდგეს იმის საფუძვლად, რომ გავამართლოთ ასეთი არანორმალური მდგომარეობის შენარჩუნება მონაკალში.

შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ჩვენს დროში ურთიერთობა, დაპყრობისა და ოკუპაციის გზით შექმნილი წარსულში, უვარგისია და არ შეესაბამება სუვერენული და თანასწორუფლებიანი სახელმწიფოების თანამშრომლობის პრინციპებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს. რაკი ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, აღიარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალ პრინციპებს და აცხადებენ, რომ მიეკალმიანან ცვლილებებს, რაც მოხდა მათს ურთიერთობაში ქვეყნებთან, რომლებიც წინათ კოლონიურ დამოკიდებულებაში იყვნენ, ამ სახელმწიფოების მთავრობები არ უნდა უწევდნენ წინააღმდეგობას აღნიშნული ქვეყნების მიერ თავიანთი სუვერენული უფლებების განხორციელებას.

საბჭოთა მთავრობა ვერ აუვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ ამჟამად ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში იქმნება სულ უფრო დაძაბული ვითარება. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, როგორც კი საქმე შეეხო სუეცის არხის კომპანიის შემოსავალს, მიმართეს უხეშ და დაუსაბუთებელ ზემოქმედებას ეგვიპტისადმი, გამოიყენეს მის მიმართ ეკონომიური რეპრესიები, გამოაცხადეს, რომ საბრძოლო მზადყოფნაში მოჰყავთ თავიანთი სამხედრო-საზღვაო ძალები და თავს უყრიან მათ სუეცის არხის მახლობლად, გამოაცხადეს რეზერვისტთა მობილიზაცია, დესანტების მომზადება და სხვ. საფრანგეთის, ინგლისისა და დასავლეთის ზოგიერთი სხვა ქვეყნის პრესაში ფართოდ გაჩაღდა კამპანია, რომელიც აღვივებს მტრულ განწყობილებას დამოუკიდებელი ეგვიპტის წინააღმდეგ.

ახორციელებენ რა ასეთ მოქმედებას, რომელმაც არ შეიძლება არ შეუქმნას საფრთხე მშვიდობისა და უშიშროების დაცვას, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ადგებიან გზას, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებთან. რადგან, როგორ შეიძლება შევათავსოთ ასეთი მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა ვალდებულებებთან არ მიმართონ თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის ან მისი გამოყენების მუქარას და საერთაშორისო დავა გადაჭრან მშვიდობიანი საშუალებებით, ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

საბჭოთა მთავრობას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია ის ღონისძიებანი, რომლებსაც ახლა ახორციელებენ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, და განიხილავს მათ როგორც გამოწვევას მშვიდობის საქმისადმი.

სავსებით ცხადია, რომ ამ ღონისძიებებმა არ შეიძლება არ გამოიწვიონ სამართლიანი აღშფოთება, ისინი ჯეროვან წინააღმდეგობას გამოიწვევენ არა მარტო ეგვიპტის, არამედ აგრეთვე სხვა ხალხების მხრივ, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ცდებმა გამოიყენონ ძალა ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებებს, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს უწინარეს ყოვლისა თვით დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესებს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში.

სუეცის არხის ნაციონალიზაცია არ ლახავს ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ან სხვა ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. მხოლოდ სუეცის არხის ყოფილი კომპანია, რომელიც დიდ მოგებას იღებდა არხის ექსპლოატაციით, კარგავს ახლა ეგვიპტის ხარჯზე გამდიდრების შესაძლებლობას. იმის ცდა, რომ ძალადობის საშუალებით აღუდგინონ დაკარგული პრივილეგიები ამ კომპანიას ან თავს მოახვიონ ეგვიპტეს უცხოეთის კაპიტალის ბატონობა სხვა აბრით, აშკარა კოლონიზატორულ ხასიათს ატარებს.

მშვიდობის, თანასწორუფლებიანობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის თავისი პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების აღნიშნული მოქმედება, რომელიც არაფრით არ არის გამოწვეული ეგვიპტის მხრივ, ხელს ვერ შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

რაც შეეხება ინგლისის მთავრობის მიერ სსრ კავშირის მთავრობისათვის გამოგზავნილ მიწვევას მონაწილეობა მიიღოს ლონდონის კონფერენციაში 16 აგვისტოს სუეცის არხის საკითხებზე, საბჭოთა მთავრობას ამ საკითხის განხილვის დროს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს შემდეგი გარემოებანი.

ინგლისი და საფრანგეთი აცხადებენ, რომ ამ კონფერენციის მიზანია შეიმუშაოს ღონისძიებანი არხის მოქმედების უზრუნველსაყოფად 1888 წლის კონვენციის შესაბამისად. ასეთი დებულება გაურკვეველია, მით უფრო, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების პრინციპი, დადგენილი 1888 წლის კონვენციით, ხელუხლებელი რჩება და მთლიანად დაცულია. მაგრამ თუ კონფერენციის მიზანი იქნება იმის ცდა ამა თუ იმ ფორმით, რომ გადაისინჯოს ეგვიპტის მთავრობის მიერ გადაწყვეტილი საკითხი სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ, ეს იქნებოდა ამკარად ჩარევა ეგვიპტის საშინაო საქმეებში, რომლის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, უფლება მოახდინოს ამ კომპანიის ნაციონალიზაცია არ შეიძლება სადავოდ მიიჩნიოს რომელიმე საერთაშორისო კონფერენციამ.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენციის მოწვევა ხდება ინგლისისა და საფრანგეთის ინიციატივით, რომლებიც სუეცის არხის კომპანიის მთავარი აქციონერები არიან, და შეერთებული შტატების ინიციატივით, რომლებიც არ არიან 1888 წლის კონვენციის მონაწილე. ამასთან კონფერენციის მოწვევა ხდება კონსულტაციის გაუწევლად საბჭოთა კავშირთან და სხვა ქვეყნებთან, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1888 წლის კონვენციას.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ კონფერენციაზე მოწვეული ქვეყნების შემადგენლობა დასახულია ტენდენციურად, იმ ვარაუდით, რომ მის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს წინადადებებს, რომლებიც დამზადებული აქვთ ინგლისსა და საფრანგეთს. სამმხრივი განცხადების თანახმად, კონფერენციის შემადგენლობა განისაზღვრა ორი ნიშნის მიხედვით: ჯერ-ერთი, ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1888 წლის კონვენციას, მეორე, ქვეყნები, რომლებიც „ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული არხის გამოყენებით“. მაგრამ ამ ორ პრინციპში არც ერთი არ არის დაცული. 1888 წლის კონვენციის მონაწილეთა შორის იყვნენ ავსტრია-უნგრეთი და გერმანია. ავსტრია-უნგრეთის უფლებრივი მემკვიდრეები არიან ავსტრია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია. არც ერთი ეს სახელმწიფო არ არის მოწვეული კონფერენციაზე. გერმანიიდან მოწვეულია მხოლოდ მისი ერთი ნაწილი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მაგრამ მოწვეული არ არის გერმანიის მეორე ნაწილი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამას ვერ დავეთანხმებით, მით უფრო, რომ ხსენებული სახელმწიფოები სხვებზე ნაკლებ როდი არიან დაინტერესებული სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებით.

კონფერენციაზე არ არიან მოწვეული არაბთა ქვეყნები, რომლებიც ტერიტორიულად მდებარეობენ უშუალოდ არხის ახლოს და უაღრესად დაინტერესებული არიან ამ საკითხის სწორი მოწესრიგებით, — სირია, ლიბანი, საუდის არაბეთი, იორდანია, სუდანი, ლიბია, იემენი, ერაყი, მაროკო, ტუნისი. უნდა აღინიშნოს, რომ არაბთა ქვეყნების უმრავლესობაც უფლებრივი მემკვიდრეა 1888 წლის კონვენციის მონაწილის — ყოფილი ოტომანთა იმპერიისა.

კონფერენციაზე არ არიან მოწვეულნი აგრეთვე ისეთი საზღვაო სახელმწიფოები, რომლებიც ფართოდ სარგებლობენ არხით, როგორიც არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ბირმა, ფინეთი.

ამრიგად, განზრახული ლონდონის კონფერენცია არის იმ ქვეყნების ჯგუფის კონფერენცია, რომლებიც სუეცის არხის კომპანიის აქციების მფლობელნი არიან, იმ ქვეყნების ჯგუფთან ერთად, რომლებიც თვითნებურად შეარჩიეს კომპანიის აქციების ამ მთავარმა მფლობელებმა.

კონფერენციის მოწვევა ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის გვერდის ავლით, რაც შექმნილ პირობებში არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

კონფერენციის ადგილად 1888 წლის კონვენციის მონაწილეებთან შეუთანხმებლად დასახელებულია ლონდონი, თუმცა, თუ დავიცავთ 1888 წლის კონვენციის დებულებებს, არხის მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა უნდა მომხდარიყო კაიროში.

ზემონათქვამის გამო, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ აღნიშნული კონფერენცია არც მის მონაწილეთა შემადგენლობით, არც თავისი ხასიათით და მიზნებით არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საერთაშორისო თათბირად, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება სუეცის არხის მიმართ.

საბჭოთა მთავრობას ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საზღვაო არხებსა და სრუტეებში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა ხდებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

როგორც ცნობილია, არსებობს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საზღვაო არხები და სრუტეები, რომლებსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. თუ სამმხრივ განცხადებაში აღძრულია სუეცის არხის ინტერნაციონალიზაციის პრობლემა, ბუნებრივად ისმება კითხვა, რატომ გამოყოფენ მხოლოდ სუეცის არხს არანაკლებ მნიშვნელოვანი საზღვაო სრუტეებისა და არხების რიცხვიდან.

ამასთან საბჭოთა მთავრობა ემყარება იმას, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საზღვაო არხებისა და სრუტეების საკითხის ყოველგვარი გადაჭრა უნდა ითვალისწინებდეს სათანადო სახელმწიფოების სუვერენულ უფლებათა დაცვის აუცილებლობას, სახელმწიფოებისა, რომელთა ტერიტორიაზე გადის ეს საზღვაო გზები.

ითვალისწინებს რა ზემონათქვამს, საბჭოთა კავშირის მთავრობას, როგორც 1888 წლის კონვენციის მონაწილეს, მიაჩნია, რომ სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში ყველა პირობებში მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ავსტრიამ, ალბანეთმა, ბირმამ, ბულგარეთმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, იემენმა, იორდანიამ, ერაყმა, ლიბანმა, ლიბიამ, მაროკომ, პოლონეთმა, რუმინეთმა, საუდის არაბეთმა, სირიამ, სუდანმა, ტუნისმა, ფინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, იუგოსლავიამ.

საბჭოთა მთავრობას აუცილებლად მიაჩნია ისეთი დიდი სახელმწიფოს მონაწილეობა ამ კონფერენციაში, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ინგლისის მთავრობა არ შეუქმნის დაბრკოლებებს ხსენებულ სახელმწიფოთა მონაწილეობას აღნიშნულ კონფერენციაში, თუ ისინი ამას საჭიროდ მიიჩნევენ თავისთვის.

თავის მხრივ, იბრძვის რა საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისათვის და მხედველობაში იღებს, რომ ლონდონის მომავალ კონფერენციას შეუძლია მოგვცეს საშუალება გამოვნახოთ სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებისადმი ისეთი მიდგომის გზები, რომელიც ახალ გარემოებათა გათვალისწინებით მისაღები იქნებოდა როგორც ეგვიპტის სახელმწიფოსთვის, ისე სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებისთვისაც, საბჭოთა მთავრობა გაგზავნის თავის წარმომადგენელს კონფერენციაზე. თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა მთავრობის მონაწილეობა კონფერენციაში სრულიადაც არ აკისრებს საბჭოთა კავშირს რაიმე შეზღუდვას ან ვალდებულებას, რომლებიც გამომდინარეობენ იმ პრინციპებიდან, რომლებიც დასავლეთის სამმა სახელმწიფომ გამოაცხადა 2 აგვისტოს ერთობლივ განცხადებაში ან რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ ეგვიპტის სუვერენულ უფლებებსა და ღირსებას.

რაც შეეხება კონფერენციის თარიღს, საბჭოთა მთავრობის აზრით, კონფერენციის უკეთ მომზადების მიზნით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მისი მოწვევა აგვისტოს დამლევს.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გადაჭრით ემხრობა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, მათ შორის ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში. იგი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოების სუვერენულ უფლებათა პატივისცემა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება დროის სულისკვეთების შესაბამისად თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე არის სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცების, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პირობა.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ წამოჭრილი სადავო საკითხები შეიძლება მოწესრიგდეს და კიდევაც უნდა მოწესრიგდეს მშვიდობიანი გზით ხალხთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესაბამისად. მას იმედი აქვს, რომ სუეცის არხის საკითხშიც სახელმწიფოთა მთავრობები გამოიჩენენ კეთილგონიერებასა და შორსმჭვრეტელობას და თავს შეიკავებენ ისეთი მოქმედებისაგან, რომელსაც შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს.

1956 წლის 9 აგვისტო.

ქ. მოსკოვი.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ

8 აგვისტოს მოსკოვში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. გაიმართა მეოთხე სხდომა.

მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, და იაპონიის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი მ. სიგემიცუ.

სხდომაზე გრძელდებოდა აზრთა ურთიერთ გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციასთან. მხარეებმა დათქვეს შექმნან ქვეკომისია საზავო ხელშეკრულების პროექტის ცალკეული მუხლების განხილვისა და რედაქტირებისათვის.

შემდეგი სხდომა გაიმართება 10 აგვისტოს.

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა 1 აგვისტოსათვის შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.109 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.020 კილოგრამისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს თვითეული ძროხის წველადობა სამეურნეო წლის დამლევამდე აიყვანონ 1.400 კილოგრამამდე. (საქდესი).

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 80 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს I ოქტომბრისათვის თვითეულ ძროხაზე კიდევ მიიღონ 180 ლიტრი რძე. (საქდესი).

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 აგვისტოსათვის შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 922 ლიტრი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 885 ლიტრისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სამეურნეო წლის დამლევამდე თვითეულ ძროხაზე კიდევ მიიღონ 200 ლიტრი რძე. (საქდესი).

სიმინდის ნაწვერალზე თესვა შეუწყნარებლად ჭიანურდება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობები ახლაც იგონებენ გასულ წელს, როცა მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ნაწვერალზე სიმინდის საუკეთესო მოსავალი მიიღეს და ამით პირუტყვისათვის საკვები ბაზის რესურსები გაადიდეს. შარშან ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ნაწვერალზე დათესილი სიმინდი იმდენად კარგი იყო, რომ მისი დიდი ნაწილი მარცვლად აიღეს. ამ დარგში საგულისხმო შედეგებს მიაღწიეს ამავე რაიონის სოფელ არგვიცის, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის და სხვა კოლმეურნეობებმა. კარგი მოსავალი მოყვანილია ნაწვერალზე სიმინდის თავის დროზე დათესვით და ნათესების კარგად დამუშავებით. სიმინდის, ქერის, ლობიოს მეორე მოსავალმა საგრძნობლად განამტკიცა მეცხოველეობის საკვები ბაზა, რამაც უზრუნველყო ძროხების მაღალი წველადობა და საუკეთესო გამოზამთრება.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა ახლა. ცნობილია, რომ წელს საგაზაფხულო სამუშაოები გვიან დაიწყო. ამიტომ მოსავლის აღება სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში 20 დღით დაგვიანდა. აქედან ნათელია, თუ რაოდენ საჭიროა ნაწვერალზე სიმინდის თესვის დაჩქარება. ახლა ამ საქმეში ყოველი დღე გადამწყვეტია. დროულად დათესავ, მეორე მოსავალს მიიღებ, დააგვიანებ — შრომა ფუჭად ჩაივლის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბარის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დიდი ხანია მასობრივად გაჩაღდა. 1 აგვისტოსათვის მოსავალი აღებული იყო 1.600 ჰექტარზე. ზოგი კოლმეურნეობა ამთავრებს ამ სამუშაოებს. მაგრამ სიმინდის ნაწვერალზე თესვა, თუ არ ჩავთვლით ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კოლმეურნეობას, ოლქის არც ერთ კოლმეურნეობაში აღნიშნული რიცხვისათვის დაწყებული არ იყო. წინაგრელები, გასული წლის შედეგებით წახალისებულნი, მოსავლის აღებასთან ერთად აწარმოებენ ნაწვერალის ხვნასა და სიმინდის თესვას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძუგაევი უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობს ამ საქმეს. აქ სამ დღეში 23 ჰექტარი სიმინდი დათესეს ნაწვერალზე.

ასე როდი იქცევიან სტალინირის რაიონის სოფლებში ხეთაგუროვსა და თამარაშენში. ხეთაგუროველებმა დიდი ხანია აიღეს ქერი, მომკილია 100 ჰექტარამდე შემოდგომის ხორბალი, ხოლო ნაწვერალზე თესვას არავინ აწარმოებს.

— რატომ ნამჯისაგან არ წმენდავთ ნაკვეთებს? — შევეკითხეთ ხეთაგუროვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ქ. კაბისოვს. მას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, რადგან იქვე მდგომმა სტალინირის მტს-ის დირექტორმა გ. გახელაძემ თავმჯდომარეს უსაყვედურა, რომ მათს მინდვრებში უქმად დგანან ტრაქტორები და ნამჯის საზიდრები, ხოლო ნაკვეთებს არ ნნავენ, რადგან ბულუღები არ გაუტანიათ. იქვე, ამ კოლმეურნეობის მეზობლად არის სოფელ ტბეთის პუშკინის სახელობის და სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები. აქ წელს პურეულის მოსავალი კარგია. ტბეთში ორი კომბაინი მუშაობს მოსავლის აღებაზე, ერთი კომბაინი თამარაშენშია. კოლმეურნეები ნაკვეთებს ნამჯისაგან წმენდენ, მაგრამ საკვირველია, რატომ აჭიანურებენ ტბეთელები და თამარაშენელები ნაწვერალზე სიმინდის თესვას?

ასეთივე მდგომარეობაა ზნაურისა და სტალინირის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

წელს სამხრეთ ოსეთში გეგმის მიხედვით ნაწვერალზე უნდა დათესონ 1.000 ჰექტარზე მეტი სიმინდი, მზესუმზირა, ლობიო და სხვა კულტურები.

ნაწვერალზე სიმინდს თესავენ ძირითადად ბარის კოლმეურნეობებში, სადაც მიწები სარწყავია. ეს კოლმეურნეობები მთის სოფლებთან შედარებით მოსავალსაც ადრე იღებენ. მაგრამ ამ საქმეს ჯერ არ შესდგომიან.

მტს-ის დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მოსავლის აღების სამუშაოებით გატაცებულნი, უყურადღებოდ ტოვებენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა ძირშივე აღმოფხვრან უდარდელობა და უპასუხისმგებლობა სანაწვერალო კულტურების თესვაში. მეორე მოსავლის მოყვანა კოლმეურნეობათა ეკონომიურად განმტკიცების ერთ-ერთი სასარგებლო ღონისძიებაა.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: გორის ბამბის ქსოვილების კომბინატის ლაბორანტი ც. ლონდაძე ამოწმებს ფთილის ხარისხს.

ფოტო შ. კუკულავასი.

★

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დანაკარგების წინააღმდეგ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან“

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ერთ ნაწილში თვითკმაყოფილებისა და უდარდელობის მავნე განწყობილებაა. ადგილი აქვს პურეულის დიდ დანაკარგებს, სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული კომბაინები, — წერდა „კომუნისტი“ 22 ივლისს ნომერში.

პარტიის საგარეჯოს რაიკომის ბიურომ განიხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი, კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი მოსავლის აღების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებისათვის. რაიკომის ბიურომ მითითება მისცა საგარეჯოს მტს-ის დირექტორს მ. ბექაურს, რომელმაც წესრიგი ვერ დაამყარა მექანიზატორებს შორის, რის შედეგად მოსავლის აღება ნელი ტემპით მიმდინარეობდა და იყო დანაკარგები. სოფელ თოხლიაურის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის ხელმძღვანელს ვ. ბერძენიშვილს და აგრონომ კ. ცერცვაძეს, რომლებმაც არ მიიღეს ზომები თავთავების შესაგროვებლად, გამოუცხადა საყვედური.

შემცირებული ფასებით

თბილისის ბევრ მაღაზიაში შეიძლება ნახოთ განცხადებანი მთელი რიგი სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების შესახებ. შემცირებული ფასები ყველგან შემოღებულია 1 აგვისტოდან.

ჩვეულებრივზე მეტი მყიდველია საქუნაერო-მაღის № 3 საფეიქრო მაღაზიასა და № 17 მზატანსაცმლის მაღაზიაში. იმასთან დაკავშირებით, რომ 20 პროცენტით შემცირდა ზოგი სახეობის შტაპელის ქსოვილებისა და ამ ქსოვილისაგან სხვადასხვა სამკერვალო ნაწარმის ფასი, გადიდდა მათზე მოთხოვნილება.

გაცხოველებული ვაჭრობაა თბილუნივერმაღის № 1 ფილიალის საათების სექციაში რუსთაველის პროსპექტზე. ოქრისკორპუსთანა საათის „ზარიას“ ფასი დაკლებულია 300 მანეთით. მნიშვნელოვნად გაიაფდა მცირეგაბარიტიანი მაღვიძარა.

ფასების მორიგ დაკლებასთან დაკავშირებით ბევრად გაიდიდა მოთხოვნილება ფოტოაპარატ „ფედ-2“-ზე. გაიაფდა მტვერსასრუტები „დნეპრ-3“, ელექტრომრიცხველები, ღუმელები, ხმამაღალი მოლაპარაკეები, ბევრი სასპორტო საქონელი, სათამაშოები და სხვ.

დაწესებულია თამბაქოს ნაწარმის ახალი ფასები. მაგალითად, მაღალი ხარისხის პაპიროსები „გვარდიული“, „დიუბეკი“, „დეკემბრები“ და სხვები — 2 მანეთით და 10 კაპიკით გაიაფდა. (საქდესი).

სკოლები მზად არიან ახალი სასწავლო წლისათვის

ზალესკზიის რაიონის 10 სკოლაში დამთავრდა კაპიტალური რემონტი. სკოლებისათვის დამზადდა მერხები, დაფები, კარადები და სხვა ხელსაწყოები.

სოფლების ნაკიფუს, ჯვარისა და ფახულანის საშუალო სკოლებმა ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების საჭიროებისათვის შეიძინეს 15 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი.

* * *

სიღნაღის რაიონის სკოლებში გაწეულია დიდი მუშაობა სწავლების პოლიტექნიზაციისათვის. სოფლების ულიანოვკის, ბოდბისხევისა და ანაგის საშუალო სკოლებში შეიქმნა სახელოსნოები.

დაბა წნორის ქართულ სკოლაში ჩამოყალიბდა მანქანათმცოდნეობის კაბინეტი. სამ სკოლის დამატებით გამოეყო მიწის ნაკვეთები. კაბინეტებისა და ლაბორატორიების ინვენტარის შესაძენად დაიხარჯა 55 ათასი მანეთი.

მოვაცილოთ კოლმეურნეობას უღირსი ხელმძღვანელები

ცაგერის რაიონის სოფელ წილამიერის კოლმეურნეობა „დამკვრელს“ როგორც მემინდვრეობის, ისე მეცხოველეობის განვითარებისათვის კარგი პირობები აქვს, მაგრამ ამ შესაძლებლობებს ვერ იყენებს. კოლმეურნეობაში სუსტად არის განვითარებული მეცხოველეობა. შეუსრულებელია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გეგმები. ჩამორჩენაა მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის განვითარების საქმეში. ამის გამო მცირეა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. მან 329.624 მანეთს ძლივს მიაღწია.

კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ თავმჯდომარე ე. სილაგაძე და ბუხჰალტერი ვ. სილაგაძე, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის ყოფილი მდივანი, უდარდელობას იჩენენ კოლმეურნეობის საქმეებისადმი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბუხჰალტერი წლების მანძილზე უსირცხვილოდ აფათურებენ ხელს საკოლმეურნეო ქონებაში. ისინი კოლმეურნეობის მიღწევების შესახებ მრავალ ყალბ საბუთს წერენ და რაიონში გზავნიან. შარშან კოლმეურნეობას გეგმით უნდა აეშენებინა 140 ტონის ტევადობის სილოსის ნაგებობანი. სინამდვილეში ააგეს 23 ტონის ტევადობისა, ხოლო რაიონს აცნობეს, რომ სილოსის ორმოების მშენებლობის და სილოსის ჩადების გეგმები თითქოს მთლიანად შესრულდა. ასევე არასწორად არის ნაჩვენები სიმინდის მოსავლიანობა და სხვ. მესამე ბრიგადამ წელს სიმინდი 25 ჰექტარი დათესა, ხოლო ცნობებში ნაჩვენებია, თითქოს 36,5 ჰექტარი დაითესა.

კოლმეურნეობამ გასულ წელს სამი ჯიშიანი ძროხა შეიძინა. აქედან ორში 10.000 მანეთი გადიხადა, ხოლო მესამე, კოლმეურნეობაში არსებული საბუთით, ხბოიანად ნაყიდია 7.000 მანეთად. სინამდვილეში ძროხას ხბო არ მოჰყოლია. თავმჯდომარემ ე. სილაგაძემ თავისი სახლიდან მოიყვანა ხბო და კოლმეურნეობას მეტად გაბერილ ფასში მიჰყიდა.

ე. სილაგაძემ ქუთაისში იყიდა ცხენი 3.000 მანეთად და კოლმეურნეობას, მიუხედავად იმისა, რომ სრულებითაც არ ესაჭიროებოდა, მიჰყიდა 4.000 მანეთად. მანვე სვანეთიდან კოლმეურნეობის ავტომანქანით ჩამოიტანა 600 ცალი ყავარი და ორმაგ ფასად გაყიდა.

ხშირია შემთხვევა, რომ თვით თავმჯდომარე და მასთან დაახლოებული პირები ყიდიან პროდუქტებს და ითვისებენ თანხის ნაწილს.

ე. სილაგაძემ თავის შვილთან ერთად საკოლმეურნეო სავაჭრო წერტილს ყოფილ გამგეს თ. ლომთაძეს ქუთაისში გაატანა 5 ტონა ვაშლი. კილოგრამი ხუთ მანეთად გაყიდეს, კოლმეურნეობაში კი 2.500 მანეთი შემოსავალი უჩვენეს. თავმჯდომარისა და ბუხჰალტრის უშუალო მონაწილეობით სანერგიდან უკვალოდ გაქრა 981 ძირი ვაზი, რის ღირებულება 3.924 მანეთს შეადგენდა. თავმჯდომარე პირადი სარგებლობის მიზნით ხშირად თვითონ იღებს სალაროში შესატან ფულს. მან თვითნებურად მიჰყიდა ღორი ნ. ლომთაძეს, რომელმაც 420 მანეთი გადაიხადა. ე. სილაგაძემ სალაროში მხოლოდ 300 მანეთი შეიტანა. კოლმეურნეობაში გამოძალვისა და თვალისახვევის ასეთი ფაქტები მრავალია. ფერმის პირუტყვის ნაწილი უბინაობის გამო ზამთრობით კოლმეურნეებს ჰყავთ მიბარებული მოსავლელად. თვითონ თავმჯდომარეს მოსავლელად ჰყავდა 2 ბუღაჰწარმოებელი, ბუღების საკვებად მან კოლმეურნეობიდან მარტსა და აპრილში 160 კილოგრამი სიმინდი წაიღო. ხოლო სხვა მომვლელთათვის სიმინდი სრულიად არ მიუცია.

მესაქონლეობის ფერმაში ცუდად არის დაყენებული პროდუქტების აღრიცხვა. ასევე ითქმის წისქვილის შესახებ. იქ არ წარმოებს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

საკოლმეურნეო ქონების განაკვეთებასა და მითვისებაში თავმჯდომარეს ხელს უწყობს ბუხჰალტერი ვ. სილაგაძე. იგი მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებამდე საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანიც იყო, მაგრამ პარტიული მუშაობა როდი ინტერესებდა. მან იმდენად მოადუნა პარტიული ორგანიზაცია, რომ კომუნისტები უინიციატივონი გახდნენ. ვ. სილაგაძემ დაკარგა კომუნისტის სახე, თავისი ბორკოტმოქმედების კვალის დასაფარავად ბუხჰალტერიის საქმეებს არივ-დარია. ძნელია ნახო ისეთი საბუთი, რომელიც ამოშლილი და გადაკეთებული არ იყოს. თავმჯდომარემ და ბუხჰალტერმა ღვინის წერტილ ყოფილ გამგეს თ. ლომთაძეს კოლმეურნეობის საერთო კრების დაუდგენლად 2.000 მანეთი ჩამოაწერეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და ბუხჰალტრის ნებართვით ცხენის უნაგირში ფერმის ძროხა მისცეს.

ფერმის შენობა უვარგისია, რის გამო პირუტყვი იხოცება. შარშან ზამთარში მოკვდა 9 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის სამი ჯიშიანი ძროხა. სიცივისა და მოუვლელობის გამო დაიხოცა აგრეთვე 29 თხა და 12 გოჭი. საერთოდ კი ზარალმა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დარგში 40.000 მანეთზე მეტი თანხა შეადგინა.

ცუდად უვლიან მრავალწლიან ნარგავებს, ვაზის სანერგე პირუტყვისაგან განადგურებულია. ამით კოლმეურნეობას 9.800 მანეთი ზარალი აქვს.

კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. მიმდინარე წლის ივნისამდე შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი კოლმეურნეთა მხოლოდ ნახევარს აქვს შესრულებული.

წილამიერის კოლმეურნეობის ზოგიერთ ნაკლოვანებათა შესახებ იმსჯელა საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის ბიურომ. სამწუხაროდ, დამნაშავეებს ბიურომ ლმობიერი სასჯელი გამოუტანა — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ე. სილაგაძეს და ბუხჰალტერს ვ. სილაგაძეს გამოუცხადა საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით — ამასთან ვ. სილაგაძე გაათავისუფლა პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან.

მშრომელები მოითხოვენ მკაცრად დაისაჯონ საკოლმეურნეო ქონების გამფლანგველები.

ა. ბეშიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლანჩხუთის რაიონი

მშენებლობაზე კოლმეურნეობები

ჩოჩხათისა და მამათის კოლმეურნეობებში დამთავრდა ახალი ადმინისტრაციული სახლების მშენებლობა. თვითეული სახლი 35 ოთახისაგან შედგება და დაჯდა ერთნახევარი მილიონი მანეთი. გვიმბალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ახლახან ააგეს რძის ქარხანა, საფრინველი 500 ფრთა ფრინველისათვის. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს სახლოსე კოშკებისა და პირუტყვის ბინების მშენებლობა აგრეთვე ლანჩხუთის სტალინის სახელობის, ჭანჭათის ოდანოვის სახელობის, ზემო ჩიბათის მალენკოვის სახელობის, აცანის სტალინის სახელობის, ახალი სოფლის ძერჟინსკის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

წყაროს წყალი მოსახლეობას

ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გამოყვანილ იქნა წყაროს წყალი. აქვე დამთავრდა მექანიზებული წისქვილის და ბანოს მშენებლობა, რომლებიც უკვე მუშაობენ.

მტს-ის ტიპური სახელოსნო

წელს ლანჩხუთის მტს-ის პარკის ეზოში აშენდება ახალი ტიპური სახელოსნო, რომელიც 250 ტრაქტორს მოემსახურება. სახელოსნო დაკომპლექტებულ იქნება სახოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების რემონტისათვის საჭირო მოწყობილობით.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

ყოველწლიურად ახალი ნარგავებით ივსება ქალაქის ქუჩები და პარკი. სტალინის სახელობის ქუჩა ერთ კილომეტრზე მთლიანად მოასფალტდება. ცენტრალურ პარკში დაიდგა სკამები, მოეწყო ელექტრონანათება, განზრახულია აშენდეს საზაფხულო ესტრადა და კინოთეატრი. შეკეთდა სასტუმროს და სხვა დაწესებულებათა შენობები. მიმდინარეობს ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია. დამატებით აიგება ქვესადგური.

პენსიები და დახმარება

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ომის ინვალიდებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს და შრომის პენსიონერებს დახმარებისა და პენსიების სახით მიეცა 2.085.411 მანეთი; ერთდროული დახმარება მიეცა 216 ოჯახს, სანატორიუმებში დასასვენებლად უფასოდ გაიცა 27 საგზური. მრავალშვილიანმა დედებმა დახმარების სახით მიიღეს 251.807 მანეთი, მარტოხელა დედებმა — 30.700 მანეთი.

სოფლების რადიოფიკაცია

რაიონის სოფლების მოსახლეობას მომსახურეობას უწევს 7 საკოლმეურნეო რადიოკვანძი 5 ათასამდე რადიოწერტილთ. მთლიანად რადიოფიცირებულია 25 სოფელი და რაიონის ცენტრი. სულ მალე მთელი რაიონი მთლიანად რადიოფიცირებული იქნება.

ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია გეგმის გადამეტებით

რაიონის სამრეწველო კომბინატმა მეორე კვარტალის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 886 ათასი მანეთის პროდუქცია. სამჯერ მეტი იქნა გამოშვებული ლუფის, ბამბუკის პროდუქცია. ავეჯის საამქრომ გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების განადგურებაში თავდადებით იბრძვიან ბ. წილოსანი, ა. ჩხაიძე, ვ. ორაგველიძე, გ. ჩხაიძე, თ. აფსარავა და სხვ.

გაზეთ „სოციალისტური შრომის“ რედაქცია — „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

ხალხთა მეგობრობა რუსთავის მეტალურგთა წარმატებების საწინდარია

კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ძმური მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს შორის, რადგან ეს მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების ძლიერების ურყევი საფუძველია.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მტკიცე და გაბედული ბრძოლა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მშრომელთა მილიონიანი მასების საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას.

თავის ეროვნულ პოლიტიკაში კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს დიდი ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის, სპობს ურთიერთუნდობლობას...“

სკკპ XX ყრილობამ ამოცანად დაგვისახა დაუცხრომლად განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის დიადი ჯავშირი, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, მთელი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ჩვენმა პარტიამ შეძლო აღმოეფხვრა ურთიერთუნდობლობა, რომელიც არსებობდა მეფის რუსეთის ხალხებს შორის, შეეერთებინა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ძმური მეგობრობით.

საუკუნეთა მანძილზე ადამიანებს, თიშავდა ეროვნული შუღლი, რასაც ხსნიდნენ კანის ფერის, ენის, სარწმუნოების, ზნეჩვეულებისა და ადათის სხვადასხვაობით. ასეთ შეხედულებებს ყოველმხრივ ავრცელებდნენ და ავრცელებენ ბურჟუაზიული იდეოლოგები, ვინაიდან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მმართველი წრეებისათვის ხელსაყრელია ეროვნული მტრობა და შუღლი. ისინი ცდილობენ რასისტული თეორიებით მოატყუონ მშრომელი მასები, გაამართლონ ეროვნული უთანასწორობა, დაკანონონ ეროვნული უმცირესობების, პატარა ერების დევნა და ძარცვა. იმპერიალიზმის საზიზღარი დამქაშები — ბურჟუაზიული ნაციონალისტები ხალხთა ეროვნულ თავისებურებებს იყენებდნენ და იყენებენ ერების გასათიშავად.

საბჭოთა კავშირში, პირველად ისტორიაში უზარმაზარი მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით, ლენინიდირებულია საუკუნეობრივი ეროვნული ჩაგვრა. პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკის მეოხებით ძაძლეულია წინანდ. ჩაგრულ ხალხთა ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. საბჭოთა კავშირის ყველა ერი შეკავშირებულია ერთიან ძმურ ოჯახად.

კომუნისტური პარტიის მიერ გამოწრთობილი ხალხთა მეგობრობა წარმოადგენს უდიდეს ძალას, რომელსაც შესწევს უნარი გაუმკლავდეს ყოველგვარ გამოცდას და რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს საშუალებას აძლევს წარმატებით გადაჭრან კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები.

ძმური დახმარება, რაც ქართველ ხალხს აღმოუჩინეს რუსმა, უკრაინელმა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებმა რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციაში, რუსთავის მეტალურგიული გიგანტის შექმნაში, სოციალისტური ერების თანამეგობრობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია. ახლა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად რუსთავის მეტალურგებს თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ქალაქ რუსთავის აღორძინების პირველი დღეებიდანვე დიდი მშენებლობის პათოსმა აქ მოიყვანა მშენებელთა მრავალრიცხოვანი არმია როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან — ხევსურეთის მთებიდან და ქართლის ბაღებიდან, კოლხიდის მობიბინე ველებიდან და მესხეთის ნოყიერი პურის მინდვრებიდან, ისე ნიენი ტაგილიდან, ჩელიაბინსკიდან, სვერდლოვსკიდან, ერევნიდან, გორკიდან, ივანოვოდან.

რუსთავში სამუშაოდ ჩამოდიოდნენ არა მარტო მშენებლები სხვადასხვა ქალაქებიდან, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობაში. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის ათობით საწარმო რუსთავისათვის ამზადებდა უახლესი კონსტრუქციის სამშენებლო მექანიზმებს, გზავნიდა ავტომანქანებს, მძლავრ ტუმბოებს, ზუსტ ხელსაწყოებს და სხვა პროდუქციას. ლენინგრადის და ხარკოვის მშრომელებმა მოამზადეს ელექტრომოწყობილობა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის. ვიევის მშრომელებმა გამოგზავნეს ამწეები, ბუნკერები, საანკერო საყრდენები. ჩელიაბინსკის ქარხანაში დამზადდა მოწყობილობა თბოელექტროცენტრალისათვის. ისეთმა დიდმა ქარხანამ, როგორიც არის ნოვოკრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხანა, რუსთავისათვის დაამზადა ომისშემდგომი პირველი ბლუმინგი. ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ მოამზადა ორი უდიდესი მილსაგლინავი დგანი.

ასობით რუსი და უკრაინელი მეტალურგი არ დაკმაყოფილდა იმით, რომ ქართველ ახალგაზრდებს შეასწავლეს მეტალურგების პროფესია. ისინი პირადად ჩამოვიდნენ რუსთავში და თავიანთ ყოფილ მოწაფეებთან ერთად თავდადებით შრომობენ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა აღზრდას ხალხთა მეგობრობის, ჩვენი დიადი სამშობლოსადმი სიყვარულის, სხვა ხალხებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. პარტიული ორგანიზაციები საჭირო პირობებს ქმნიან იმისათვის, რომ ყველა ხალხის წარმომადგენლები ნაყოფიერად შრომობდნენ, ბეჯითად სწავლობდნენ და კულტურულად ისვენებდნენ.

მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრშია დაყენებული ბრძოლა მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დასარაზმავად სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის.

ქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა და მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები მასობრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ითვალისწინებენ თავიანთი კოლექტივების სპეციფიკურ ხასიათს, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან მუშაობის თავისებურებებს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორებმა წელს ხალხთა მეგობრობის თემაზე 60-ზე მეტი ლექცია და მოხსენება წაიკითხეს, მათ შორის მეტი წილი — ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. ლექციები წაკითხულ იქნა ასეთ თემებზე: „საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა“, „საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა“, „საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო“, „რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა“ და სხვ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგიტატორები საამქროებში, ბრიგადებში და საწარმოო უბნებზე. ისინი მეტალურგებთან სისტემატურად მართავენ საუბრებს ხალხთა მეგობრობის, მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხებზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ დიდი წარმატებით ჩაიარა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილმა საღამომ. საღამო მოაწყო კომკავშირის საქართველოს საკომიტეტმა მეტალურგთა კულტურის სასახლეში. ეს საღამო რუსთავის მეტალურგების ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. საღამოზე გამოსული სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ უდიდეს კმაყოფილებას და უღრმეს სიამაყეს თავიანთი დიადი საბჭოთა სამშობლოთი.

რუსთავის მეტალურგებს, მშენებლებს, ქიმიკოსებს ძმური მეგობრობა აქვთ აზერბაიჯანელ და სომეხ თანამოძმეებთან. სუმგაიტის ბევრმა მეტალურგმა აითვისა თავისი პროფესია რუსთავში ქართველი მეტალურგების დახმარებით, ხოლო რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშები საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ კიროვაკანის ქიმიურ კომბინატში. ამჟამად რუსთავში თავდადებით შრომობენ სსრ კავშირის დაახლოებით 40 ეროვნების წარმომადგენლები.

ქართველების, რუსების, ბელორუსების, უკრაინელების, სომხების, აზერბაიჯანელების მხარდამხარ შრომობენ ქომის ხალხთა წარმომადგენლები, უდმურტები, ჩუვაშები, უზბეკები. არიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლებიც — ჩინელები, რუმინელები, ბულგარელები.

მარტენის საამქროში სტალინოს, დნეპროძერჟინსკისა და სხვა ქალაქების მეტალურგების მიერ აღზრდილი ქართველი მეტალურგები ი. მეტრეველი, გ. სიგუა, ა. ფანცულაია ჩქაროსანი მეფოლადეები არიან. მათთან ერთად დიდ წარმატებებს აღწევენ ფოლადმდნობელები პ. სამცოვი, ნ. ბულგატოვი, ვ. ორლოვი. მილსაგლინავ საამქროში გამოირჩევიან ოსტატები ი. ბენდიანშვილი, ვ. კერვალიძე, რ. ფანცხავა და სხვ. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ თავიანთ მასწავლებლებთან — სტალინოს მეტალურგიული ქარხნის უფროს მვალცავთან ა. ჩურაკოვთან, ოსტატებთან ნ. მიჩალინთან, ი. ოლეინიკოვთან და სხვებთან.

დიდი სარგებლობა მოაქვს გამოცდილების ერთიერთ გაზიარების მიზნით მეგობრობისადმი მიძღვნილ საღამოებს. ასეთ საღამოებზე ჩამოვიდა ბაკურიანელ ბერძენ ბავშვთა ანსამბლი, ბულგარელ ბავშვთა ანსამბლი, ბულგარეთიდან ჩამოსული

რა აფერხებს სწრაფად, მაღალხარისხოვნად, იაფად მშენებლობას?

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მორიგ პლენუმზე განხილულ იქნა ამ რაიონში ახალ მშენებლობათა მიმდინარეობის საკითხი. პლენუმზე ამ საკითხის გამოსატანად მზადებისას საჭირო იყო დაწვრილებითა და გულდასმით გავცნობოდით იმ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ჩვენს რაიონში მუშაობენ, შეგვესწავლა ცალკე მშენებლობათა ჩამორჩენის მიზეზები, მოგვეხდინა მშენებელთა კოლექტივების მუშაობის ანალიზი.

მიღებული დასკვნები, ჩემი აზრით, საკმაოდ საყურადღებო და ამასთან უაღრესად დამახასიათებელია არა მარტო ამ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების, აგრეთვე მათთან არსებული პარტიული ორგანიზაციების მუშაობისათვის, არამედ საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის ყველა სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებისთვისაც. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია შევეხერდე რამდენიმე საკითხზე იმის გასათელსაყოფად, თუ რა აფერხებს თბილისში სწრაფად, მაღალხარისხოვნად და იაფად მშენებლობას.

თუ გულდასმით შევისწავლით მშენებელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზებს, აღმოჩნდება, რომ მთავარი მიზეზებია სამშენებლო ობიექტებზე შრომის ცუდი ორგანიზაცია, შეფერხებანი საშენ მასალათა მომარაგებაში, მაღალკვალიფიციური მუშახელის სიმცირე და საპროექტო დოკუმენტაციის არაკომპლექტურად მიწოდება მშენებლებისათვის. თუ საქმის შესწავლას ბოლომდე მივყვებით, აღმოჩნდება, რომ ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის სისუსტით, მოუქნელობით, სამშენებლო საქმის სპეციფიკის არცოდნით არის გამოწვეული.

ყოველი სამშენებლო ორგანიზაციის, ისევე როგორც ყოველი საწარმოო ობიექტის მუშაობა სავსებით დამოკიდებულია პარტიული მუშაობის დონეზე. სადაც პარტიული მუშაობა მაღალ დონეზეა დაყენებული, ხოლო პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს ადმინისტრაციის მუშაობისადმი კონტროლის უფლებას, შეუნელებელ ყურადღებას აქცევს სააგიტაციო-მასობრივ და აღმზრდელობითს მუშაობას, იქ სოციალისტური შეჯიბრებაც კარგად არის მოწყობილი და სამშენებლო-სამონტაჟო გეგმებიც სრულდება.

ჩვენს მშენებლობებზე პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-მასობრივი მუშაობა ჯერჯერობით სამაღლეზე ვერ დგას. ამას ისიც ამტკიცებს, რომ მშენებლობებზე პარტიულ კრებებს იწვევენ არარეგულარულად და თან მოუმზადებლად, ამა თუ იმ საკითხის განხილვის შედეგად ზოგჯერ გამოაქვთ ზოგადი, არაკონკრეტული დადგენილება, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

უთუოდ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საშენი მასალებით მშენებლობათა მომარაგების საქმე. დიდი შეფერხებებია საშენი ხე-ტყის მომარაგებაში, რაც აიხსნება სათანადო სამინისტროებისა და ტრესტების მუშაკთა მოუქნელობით. მთავარი დაბრკოლება აქ ის არის, რომ მშენებლებს საშუალება არა აქვთ შექმნან თვიდან თვეში გარდამავალი მარაგი. ეს იწვევს მშენებლების გაცდენას, ხოლო შემდეგ, როცა მასალებს მიიღებენ, — იერიშობანას, აჩქარებას, რაც გავლენას ახდენს სამუშაოთა შესრულების ხარისხზე.

მშენებლობის, კერძოდ ბინათმშენებლობის დარგში მთავარ ნაკლს კვლავ წარმოადგენს მშენებლობის დაქუცმაცება და ამის შედეგად რესურსებისა და თანხების დაქსაქსულობა. ზოგჯერ სამშენებლო ორგანიზაციებს ცალკე ობიექტების მიხედვით იმდენად შემცირებული გეგმები ეძლევათ, რომ ამ გეგმებისათვის გაცდენა არც ღირს. მაგალითად, წელს ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ტბის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლებს დაუწესა მეტად შემცირებული გეგმა, რომლის მიხედვით ხუთ თვეში ათვისებული უნდა ყოფილიყო 70.000 მანეთი. ფალიაშვილის ქუჩაზე № 39-ა სახლის მშენებლებს წელს პირველ ნახევარში უნდა ათვისებინათ 34.000 მანეთი. თბილისის იპოდრომის მშენებლებს იანვრიდან 1 ივნისამდე სულ 200.000 მანეთის სამუშაოთა შესრულება ჰქონდათ დავალებული. თანხების ასეთი დაქუცმაცება იწვევს ძალთა დაქსაქსულობასაც, აჭიანურებს მშენებლობას, აძვირებს მას.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ჩვენს მშენებლობებზე გაშლილი არ არის ბრძოლა საშენი მასალების, განსაკუთრებით ისეთი მასალების ეკონომიისათვის, როგორიც არის ხე-ტყე, ცემენტი, სამშენებლო ლითონი. არ იგრძნობა ზრუნვა იმისათვის, რომ ეს დეფიციტური საშენი მასალები მაღალხარისხოვანი შემცვლელებით შეცვალონ. არ სრულდება პარტიისა და მთავრობის ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ ყველა მშენებლობაზე, სადაც ეს შესაძლებელია, ძვირადღირებული კონსტრუქციები შეცვალონ უფრო ეკონომიური კონსტრუქციებით, ფართოდ გამოიყენონ ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები. ამის მაგალითები თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშენებლობებზე მრავალია.

ამასთან გვაქვს იმის მაგალითებიც, თუ რა კარგი შედეგი მოგვცა ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებამ. საქართველოს ჰიდროენერგომშენის სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს სამშენებლო ობიექტებზე წელს პირველი 5 თვის განმავლობაში რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება ყოველი ერთი მილიონი მანეთის სამუშაოებზე გადიდებულ იქნა 124 კუბმეტრიდან 236 კუბმეტრამდე. ამან შესაძლებელი გახადა სამშენებლო მექანიზმების მეტი დატვირთვით გამოყენება და ამის შედეგად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით შემცირებულ იქნა დაახლოებით 2 პროცენტით, რაც საგრძნობ თანხას უდრის.

პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს ობიექტებზე, სადაც წელს გეგმების შესრულებაში დიდად ჩამორჩებიან, ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობ კონსტრუქციებს ასე ფართო მასშტაბით არ იყენებენ. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება აქ დაბალია, დაბალია მშენებელთა ხელფასი, რაც ხელს უწყობს მუშახელის დენადობას.

რამდენიმე შენიშვნა საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ჩვენმა საპროექტო ორგანიზაციებმა, ეს ცხადად იგრძნობა, შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა, განსაკუთრებით ტიპიურ ნაგებობათა დაპროექტების საქმეში. მაგრამ მათი მუშაობის ნაკლი ის არის, რომ თავიანთი პროექტებით ისინი არ წარმართავენ მშენებელთა შემოქმედებითს აზრს ადგილობრივი რესურსების გამოყენებისაკენ. ჯერ კიდევ მრავალია შემთხვევები, რომ სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციით მშენებლების აღჭურვა გვიანდება, ხოლო ეს მშენებლობის გაჭიანურებას იწვევს.

დასასრულ მინდა შევჩერდე მშენებლობებზე სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის საკითხებზე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობებზე ისე არ არის მოწყობილი, როგორც საჭიროა. მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში შეუწყნარებელ მოდუნებულობას იჩენენ. ეს შეიძლება ითქვას პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს, წყალმშენის მეოთხე სამშენებლო კანტორის, საქკვებმშენის მეორე სამშენებლო სამმართველოს და მთელი რიგი სხვა სამშენებლო ორგანიზაციების შესახებ. აქ არ ცდილობენ შეჯიბრებაში ყველა პროფესიის მშენებელთა ჩაბმას, შედეგების აღრიცხვა მოუწესრიგებელია, არ ხდება შეჯიბრებაში დაწინაურებულთა მიღწევების პოპულარიზაცია, მათი გამოცდილების გავრცელება.

ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები არ იჩენენ ჯეროვან ინტერესს სოციალისტური შეჯიბრებისადმი, არ ეხმარებიან ამ მხრივ ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. პირდაპირ უნდა ითქვას — მშენებლობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერაც ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა შესაბამისად. ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ ჩვენში მშენებლობა, უწინარეს ყოვლისა კი საბინაო მშენებლობა, ჩამორჩება.

აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ ზემდგომი პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

ნ. რამიშვილი,

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი.

სურათზე: წალენჯიხის რაიონის № 2 ჩაის ფაბრიკის ლაბორანტი ა. გოგინავა ამოწმებს ჩაის ღნობის ხარისხს.

ფოტო გ. გოგოხიასი და ს. ონანოვისა.

★

კონფერენციები და სესიები

თბილისის გ. მუხაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოების ინიციატივით ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის საკაფედრო სხდომაზე ამას წინათ გაიმართა საქალაქო კონფერენცია, მიძღვნილი ჭიაყელა ნაწლავის მწვავე ანთების (მწვავე აპენდიციტის) საკითხებისადმი.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მედიცინის დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ა. მამამთავრიშვილმა. კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქალაქის როგორც მოწინავე პროფესორები, ისე ახალგაზრდა ქირურგები, მოისმინა 17 პრაქტიკული და თეორიული სასიათის საინტერესო მოხსენება.

რესპუბლიკის მთავარმა ქირურგმა პროფესორმა ვ. კვერენჩხილაძემ თავის მოხსენებაში ღრმა ანალიზი გაუკეთა მწვავე აპენდიციტის ყველა იმ შემთხვევას, რომლებიც მოხდა თბილისში უკანასკნელი წლების მანძილზე. დოცენტმა მ. გიგოლოვმა განიხილა აპენდიციტები წარსულისა და აწმყოს თვალსაზრისით. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ახალგაზრდა ქირურგები: ასისტენტი რ. იაშვილი, ექიმები გ. ჩიმაკაძე, შ. კიღურაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები გ. იოსელიანი, გ. კანდელაკი და სხვ.

* * *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტმა რკინაგზელის სახლში მოაწყო ვაფართოებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გულსისხლძარღვთა სისტემის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პრობლემებს. (ჰიპერტონიული დაავადება, ათეროსკლეროზი, გულის კუნთის პათოლოგია და რეგმატიზმი).

სესიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მოძმე რესპუბლიკების გამოჩენილი პროფესორები და მეცნიერთა მუშაკები ნ. ე. რატნერი (მოსკოვი), ფ. ი. პრიმაკი (კიევი), ლ. ა. ოგანესიანი (ერევანი), ლ. ა. სპივაკი (ხარკოვი), ს. ა. აბდურახმანოვი (ბაქო), ე. ი. ფოგელსონი (მოსკოვი), ვ. კ. ბოგოიავლენსკი (ყაზანი) და სხვები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა მ. მ. წინამძღვრიშვილმა, რომელმაც სესიას გააცნო კარდიოლოგიის ინსტიტუტის ათი წლის კვლევითი მუშაობის შედეგები. მოსმენილ იქნა ბევრი თეორიული, ექსპერიმენტული და კლინიკური მნიშვნელობის მოხსენებები, რომლებმაც გამოავლინეს საბჭოთა კარდიოლოგიის მიღწევები.

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები ქუთაისში

ქუთაისში წარმატებით მიმდინარეობს თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. თეატრს საგასტროლო რეპერტუარში აქვს ათი სპექტაკლი. აქედან ექვსი სპექტაკლი პირველად ნახა ქუთაისელმა მაყურებელმა.

თეატრი სისტემატურად აწყობს პარალელურ სპექტაკლებს და კულტმომსახურებას უწევს ახლო რაიონებს; მოეწყო შეხვედრები ქუთაისის რაიონის კოლმეურნეებთან.

საინტერესო თემას ეხება გ. ცაბაძის სამმოქმედებიანი ოპერეტა „ახალი სიმღერა". მასში ნაჩვენებია საკოლმეურნეო სოფლის სინამდვილე, კოლმეურნეთა ცხოვრება, თავდადებული შრომა უხვი მოსავლის მისაღებად.

ოპერეტა „ჩვენი ნაცნობები" ამხილებს ზოგიერთი ახალგაზრდის უარყოფითს ჩვევას. პირველი სურათიდანვე აშკარა ხდება, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ადვილად ექცევა ცუდი გავლენის ქვეშ. მეცადინეობის, წიგნების კითხვისა და კულტურული დასვენება-გართობის მაგიერ ღვინის სმასა და ქეიფში ატარებს დროს.

კომედიაში თანდათანობით, მოვლენათა კანონზომიერი განვითარებით სათანადოდ მოტივირებულია დროებით გზასაცდენილი ოთარის გარდაქმნა, ისევ სწორ გზაზე დადგომა. მსახიობი ვ. სალარიძე თავისი სიმღერით, მიზანსცენებით ცხადყოფს, თუ რა ძნელია ცუდი ამხანაგებისაგან თავის დაღწევა.

კარგად ასრულებენ როლებს მსახიობები მ. ხოფერია, ქ. კობახიძე, თ. კოდინაშვილი, თ. ბერძენიშვილი, თ. ხელაშვილი, ნ. მოსეშვილი, ი. პაპაშვილი, შ. ნაცვლიშვილი, ნ. პეტრიაშვილი, ი. ბაკაკური, დ. ყარალაშვილი და გ. ჭუმბაძე. დაუვიწყარია ციალასა და თამაზის დუეტი, აგრეთვე სცენა და ტრიო „ასე თაფლის სანთელივით", ნანასა და ოთარის დუეტი და მთელი რიგი სხვა ადგილები. ოპერეტა „ჩვენი ნაცნობებით" თეატრმა კარგი, ჯანსაღი სპექტაკლი შექმნა.

საკმაო პოპულარობა მოიპოვა და ქუთაისელ მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა დრამატურგ დ. თაქთაქიშვილის ჰეროიკულმა კომედიამ „სალხინობელი", რომელშიც გადმოცემულია ისტორიული წარსულის მეტად საინტერესო პერიოდი, ქართველი ხალხის პატრიოტული ბრძოლა ოსმალდამპყრობთა წინააღმდეგ. სასიამოვნოდ ეღერს კომპოზიტორ ნ. გუდიაშვილის მუსიკა. ცალკეულ მსახიობთაგან კარგი შესრულებით გამოირჩევიან და მაყურებელს განსაკუთრებით ამახსოვრდება აჯანყების მეთაურის ჩაგუს (თ. ხელაშვილი), ქიგალეს (შ. ყუფუნია), მთავრის მემკვიდრის კოჩას (გ. ბერიაშვილი), მეტიას (ნ. მოსეშვილი), ბროლისას (ქ. კობახიძე), ალის (შ. ნაცვლიშვილი) და სხვა გმირთა სახეები.

თეატრი ქუთაისელ მაყურებელს დიდი პატივისცემით მოეპყრო. მან აქ გასტროლების პერიოდში მოამზადა და უჩვენა თავისი ახალი ნამუშევარი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. კერესელიძის სამმოქმედებიანი ოპერეტა „სამი პატარძალი" (ლიბრეტო ლევან გოთუასი), რომელიც დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბ. გამრეკელმა.

მუსიკალური კომედიის თეატრი თავისი არსებობის მანძილზე მრავალჯერ იყო ქუთაისში. ამჯერადაც იგი ახალი სპექტაკლებით წარსდგა ქუთაისელი მაყურებლის წინაშე და ცხადყო, რომ ყოველწლიურად ამაღლებს მუშაობის ხარისხს.

პ. ხმალაძე.

მეშახვეთა თვითმოქმედი კოლექტივი

შაბათია. სამუშაო დღე ორი საათით ადრე დამთავრდა. საღამოს ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მაღაროელთა კლუბი ხალხით აივსო.

მეშახტეები და მათი ოჯახის წევრები დიდი ინტერესით ესწრებიან მეშახტეთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის დადგმებსა და კონცერტებს. კოლექტივმა წარმატებით განახორციელა ბ. ლავრენევის პიესა „რღვევა", ს. მიხალკოვის — „სიბნელე", გ. მდივნის — „ჩვენი ოჯახი" და სხვ.

სპექტაკლებში როლებს ასრულებენ ელექტროდენის მუშა ა. ვერტუშკინი, ზეინკალი ბ. ნიკოლაევი, მეჯალამბრე ე. ვიზიროვი, მყოლავი ვ. რიბალკო და სხვები.

მეწარმეთა მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა აგრეთვე კლუბთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა წრემ, რომლის წევრები—სპორტიერი გზის მუშები დეგი თამარ და ნათელა ბაშელეიშვილები, ტამოდერეული ვ. ალოიხინა, მემანქანე ვ. სისოევა და სხვები საინტერესოდ ასრულებენ ქართულ, აფხაზურ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების სიმღერებსა და ცეკვებს.

მშრომელებმ ეცნობიან მოძმე რესპუბლიკების ხელოვნებას

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების კულტურული ურთიერთობის მკაფიო და ნათელი დადასტურებაა ის ტრადიციული საგასტროლო მოგზაურობანი, რომლებსაც აწყობენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი შემოქმედებითი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. საგასტროლო სპექტაკლების და კონცერტების დროს მაყურებელი უფრო ახლოს ეცნობა მოძმე რესპუბლიკების ეროვნულ შემოქმედებას, ხელოვნების დარგში მოპოვებულ მათს წარმატებებს.

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში წარმატებით დაასრულა თავისი გასტროლები სომხეთის ხალხური ხიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა, რაც გულთბილად აღნიშნა ჩვენი რესპუბლიკის პრესამ.

ამჟამად თბილისში საგასტროლოდ იმყოფება მსახიობთა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვში გამართულ სომხეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში.

რუსი, საბჭოთა და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორების ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებით თბილისელთა წინაშე წარმატებით გამოდიან ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტები სტალინური პრემიის ლაურეატი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ა. პეტროსიანი (დრამატული ტენორი), ე. ბალდასარიანი (ლირიული ტენორი), ს. დავთიანი (სოპრანო), პრაღაში გამართულ მეკვიოლინეთა ი. სლავიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ე. ტერ-მერგერიანი, ბერლინში გამართული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი ხ. ავეტისიანი (ეროვნულ საკრავ ქანონზე შემსრულებელი), ბალეტის მსახიობები ნ. უსიანი და ა. მიქაელიანი, ოპერის თეატრის კონცერტმეისტერი ე. კასარჯიანი.

კონცერტი საინტერესოდ მიპყავს ერევნის კ. სტანისლავსკის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობს სომხეთის სსრ დამსახურებულ არტისტს ი. ციცინოვსკის.

სტუმრებმა კონცერტები გამართეს თბილისის სომხური დრამის თეატრის შენობაში, ბოლნისში, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში და სხვ.

ამ დღეებში სომეხი მსახიობები საგასტროლოდ გაემგზავრებიან საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. კონცერტები გაიმართება გორში, ბორჯომში, ქუთაისში, წყალტუბოში, ბათუმში, სოხუმში და სხვ.

ამას წინათ სომხეთის სსრ რესპუბლიკაში გასტროლო მოგზაურობის შემდეგ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელები არიან რუსეთის რესპუბლიკის სახალხო არტისტები სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი.

ქართველმა მოცეკვავეებმა 4 კონცერტი გამართეს ერევანში სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ხოლო 2 კონცერტი ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის ღია ესტრადაზე. 2 კონცერტი გაიმართა ლენინაკანში.

ყველგან, სადაც კი ანსამბლის კონცერტები იმართებოდა, უამრავი მაყურებელი იყრიდა თავს. მახვინძლები ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდნენ ქართველ მსახიობებს და უწყობდნენ მათ გულთბილ, მეგობრულ შეხვედრებს.

ანსამბლის გასტროლებს მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის პრესამ. „საბჭოთაკაბ მაიასტანში" რეცენზენტი დეტალურად განიხილავს ანსამბლის მიერ ნაუკეთესოდ შესრულებულ ცეკვებს და მსახიობთა მაღალოსტატურ შემოქმედებას. დასასრულ რეცენზენტი ბ. ამატუნი წერს: „უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი გაიზარდა და გადაიქცა მტკიცე პროფესიულ შემსრულებელთა მაღალ დონეზე ასულ კოლექტივად, რომლის სახელიც ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც". ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს ანსამბლს რუსული რესპუბლიკური „კომუნისტი".

სურათზე: სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. პეტროსიანი, როიალთან კონცერტმეისტერი ე. კასარჯიანი.

ფოტო შ. გოქაძისა.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

8 წელი გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ომი ინდოჩინეთში. ეს ომი ფრანგმა კოლონიზატორებმა გააჩაღეს ამერიკის შეერთებული შტატების იარაღისული წრეების წაქეზებითა და დახმარებით.

საგარეო საქმეთა მინისტრების ენევის თათბირზე 1954 წლის იგლისში მიღებულ იქნა შეთანხმება ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში სომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაც ცალე განხორციელდა. ინდოჩინეთში ომის შეწყვეტა — ეს იყო მშვიდობის ძალების ახალი დიდი გამარჯვება ომის ძალებზე.

ენევის თათბირის გადაწყვეტილებით ვიეტნამში დაწესებულ იქნა დროებითი სადემარკაციო ხაზი, რომელიც გადის მე-17 პარალელის ეტაპ სამხრეთით. სადემარკაციო ხაზის ორივე მხარეს დაწესებულია სადემილიტარიზაციო ზონა, რომლის სიგანე აღწევს 5 კილომეტრს. სადემარკაციო ზონით ჩრდილოეთით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკაა, ხოლო სამხრეთით სამხრეთ ვიეტნამის სახელმწიფო. ძალთა გადაჯგუფება დამთავრდა 300 დღეში. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადაჯგუფდის შემდეგ 13 მილიონი მცხოვრებია, ხოლო სამხრეთ ვიეტნამში 11 მილიონი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სრულ სიზუსტით ასრულებს ენევის შეთანხმებას და მტკიცედ მოითხოვს მის შესრულებას სამხრეთ ვიეტნამისაგან. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ იბრძვის მშვიდობის განმტკიცებისათვის, ვიეტნამის გაერთიანებისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის. იქ ახლა გაჩაღებულია დიდი შემოქმედებითი მუშაობა ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის სწრაფი განვითარებისათვის, სოციალისტური მშენებლობისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა სამხრეთ ვიეტნამში. იქ გამეფებულია ტერორი, ძალადობა, თვითნებობა. მარტო 1955 წლის დეკემბრამდე დაპატიმრებული და მოკლულია 40 ათას კაცზე მეტი. ამერიკელმა იმპერიალისტებმა, შეავიწროვეს რა ფრანგები, თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქცევს სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი და ფაქტიურად დაუფლნენ ამ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩაშალონ ენევის შეთანხმება, ვიეტნამი გაყონ ორ ნაწილად, სამხრეთი ვიეტნამი გადაქციონ თავიანთ კოლონიად, სამხედრო ბაზად. ისინი ასევე ცდილობენ დომინონ ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებში და განუყოფლად იბატონონ იქ.

1955 წლის ოქტომბრამდე სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლების სათავეში იდგა იმპერატორი ბაო დაი. იგი იყო საფრანგეთის ორიენტაციის მომხრე. 1954 წლის ივნისში ბაო დაიმ პრემიერ-მინისტრად დანიშნა ნგო დინ დიემი. იგი დანიშნულ იქნა ვაშინგტონის რეკომენდაციით და კარნახით.

ნგო დინ დიემი მემამულის ოჯახიდან არის. იგი ერთგულად ემსახურებოდა როგორც მეფეებს, ისე კოლონიზატორებს, გამოდიოდა პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

მოიქცა რა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ამერიკელთა დახმარებით ნგო დინ დიემი თანდათან იგდებდა ხელში ძალაუფლებას და არაფრად აგდებდა იმპერატორ ბაო დაის და მის მფარველ ფრანგ ხელისუფალთ.

1955 წლის გაზაფხულზე სამხრეთ ვიეტნამში გაჩაღდა ბრძოლები ნგო დინ დიემის ჯარებსა და ბინ-კსი უენის, კაო-დაის და ხოა-ხაოს რელიგიური სექტების ჯარებს შორის. ეს რელიგიური სექტები იმყოფებოდნენ საფრანგეთის გავლენის ქვეშ. ამ დროს გამართული ბრძოლები ამერიკისა და საფრანგეთის ჯიშპობის აშკარა გამოხატულება იყო. ამ ბრძოლებში მარცხი განიცადა საფრანგეთმა. მან სამხრეთ ვიეტნამში დაკარგა პოლიტიკური გავლენა და ეკონომიური პოზიციები. სამაგიეროდ გაძლიერდა ამერიკის გავლენა.

1955 წლის 18 ოქტომბერს იმპერატორმა ბაო დაიმ გამოსცა დეკრეტი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ნგო დინ დიემის გადაყენების შესახებ, მაგრამ იგი არ დაემორჩილა იმპერატორის განკარგულებას და 23 ოქტომბერს ამერიკელთა დახმარებით და ხელშეწყობით მოაწყო „რეფერენდუმი" იმის გამოსარკვევად, თუ ვინ უნდა დარჩენილიყო სახელმწიფოს მეთაურად — ბაო დაი თუ თვითონ. „რეფერენდუმი" მოეწყო მოსახლეობის დაშინების, დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების დევნის პირობებში, რის შედეგად „გამარჯვება" მოიპოვა დიემმა. ამრიგად, სამხრეთ ვიეტნამში გაუქმებულ იქნა იმპერატორის ხელისუფლება. სამხრეთი ვიეტნამი გამოცხადდა რესპუბლიკად, ხოლო ნგო დინ დიემი მის პრეზიდენტად.

ხალხის თვალისასახვევად, მასების მოსატყუებლად დიემის მიერ შექმნილი პარტია ატარებს „რევოლუციურ-ეროვნული პარტიის" სახელწოდებას, სინამდვილეში კი ეს პარტია არც რევოლუციურია, არც ეროვნული. იგი მოსახლეობის ზედაფენებისა და ამერიკელი მონოპოლისტების ინტერესების გამტარებელია.

ასევე ხალხის თვალისასახვევად ტარდება „აგრარული რეფორმა", რომელიც შემუშავებულია ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით და რომელიც არავითარ სარგებლობას არ აძლევს მშრომელ გლეხობას. გლეხები ამ მიწასაც კი კარგავენ, რომელიც აქვთ.

ამერიკის მონოპოლიების გაძლიერების შედეგად სამხრეთ ვიეტნამის ეკონომიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. მეტად შეიკვეცა ექსპორტი და გადიდდა იმპორტი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაქვეითების შედეგად გაძლიერდა უმუშევრობა. 1956 წლის იანვრისათვის უმუშევართა რიცხვი 1 მილიონ კაცს შეადგენდა. იზრდება ფასები ფართო მოხმარების საგნებზე, რაც აუარესებს მოსახლეობის მდგომარეობას.

საგარეო საქმეთა მინისტრების ენევის თათბირის გადაწყვეტილებით ვიეტნამი არ უნდა დარჩეს ორ ნაწილად გაყოფილი. 1956 წლის იგლისში უნდა მოწყობილიყო საყოველთაო თავისუფალი არჩევნები და ამრიგად განხორციელებულიყო ეროვნული გაერთიანება.

ამ ღონისძიების ჩასაშლელად ნგო დინ დიემის მთავრობამ პროვოკაციულ მანევრს მიმართა. მიმდინარე წლის 4 მარტს მან მოაწყო „საკანონმდებლო კრების" სეპარატული არჩევნები.

არჩევნების წინ მთელ სამხრეთ ვიეტნამში გამეფებული იყო ძალადობა, ტეროორი, რეპრესიები. საარჩევნო კანონი აშკარად ფაშისტური იყო. იგი ისე იყო შედგენილი, რომ უზრუნველეყო ნგო დინ დიემის ხროვის გამარჯვება.

არჩევნების წინ საიგონის ხროვა შეუდგა ოპოზიციური პარტიების მეთაურთა დაპატიმრებას, ორგანიზაციების დაშლას, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა დევნას. განსაკუთრებით სდევნიდნენ კომუნისტებს. არასრული ცნობებით ამ კამპანიის დროს 616 კაცი იქნა მოკლული, ხოლო 15.161 კაცი დაპატიმრეს.

ასეთი ფაშისტური მეთოდებით ჩატარებულმა „არჩევნებმა" უზრუნველყო ნგო დინ დიემისა და მისი დამქაშების „გამარჯვება" არჩევნებში.

ენევის შეთანხმებით აკრძალულია ვიეტნამში უცხოეთის ჯარებისა და სამხედრო პერსონალის შეყვანა, აგრეთვე ყოველგვარი იარაღისა და სამხედრო მასალების შეტანა, სამხედრო ბაზების შექმნა და სხვ. მაგრამ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი ამერიკის აგრესიული წრეების კარნახით ამ გადაწყვეტილებას უხეშად არღვევენ. ამერიკა ცდილობს სამხრეთ ვიეტნამი ჩართოს აგრესიულ ბლოკში—სეატო-ში (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკი).

ამერიკა სამხრეთ ვიეტნამს აწვდის იარაღს, საომარ მასალებს და საჭურველს, ეხმარება ჯარების დაკომპლექტებასა და გაწვრთნაში.

ამრიგად, სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა ქვეყანა ფაქტიურად სეატოს აშკარა მონაწილედ გახადეს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ენევის გადაწყვეტილებას, მოითხოვს მის განუხრელად შესრულებას. მან წამოაყენა წინადადება მოწვეულ იქნას ენევის ახალი თათბირი ამ საკითხზე.

ენევის 1954 წლის თათბირის თავმჯდომარეებმა—სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა — სპეციალური წერილები გაუგზავნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიე

სამშობლოში გაიგზავნა გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მორიგი დაშლილი ნაწილები

ბერლინი, 8 აგვისტო. (საკდესი). როგორც გერმანიის პრესა იუწყება, გუშინ კარლ-მარქს-შტადტის ოლქის მთელ რიგ ქალაქებში — ოიჰანგეორგენშტადტში, შვარცენბერგსა და აუერბახში — მოეწყო გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის იმ მთელი რიგი ნაწილების მეომართა გაცილება საბჭოთა კავშირში, რომლებიც დემობილიზებული არიან თანახმად საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებისა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის და, კერძოდ, გერმანიაში საბჭოთა ჯარების რიცხვის შემცირების შესახებ.

დაშლილი ნაწილების ჯარისკაცები და ოფიცრები ყველგან გაიცილეს ათასობით მშრომელებმა, რომლებიც გულითადად უსურვებდნენ მათ წარმატებებს მშვიდობიან შრომაში. გაცილება გადაიქცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის დემონსტრაციად.

აგომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხთა საერთაშორისო კონფერენციაზე ჟოკიოში

პეკინი, 8 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ გუშინ ტოკიოში ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის მოძრაობის მიზანია დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და კეთილდღეობა იმ საფრთხისაგან, რომელსაც შეიცავს მასობრივი მოსპობის იარაღი.

„ტოკიოს დეკლარაცია", რომელიც გუშინ იქნა მიღებული კონფერენციაზე 30 ათასი კაცის დასწრებით, მოუწოდებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებს მხარი დაუჭირონ ამ მოძრაობას და იბრძოლონ განიარაღებისათვის.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ხატოიამამ კონფერენციისადმი წერილში იმედი გამოთქვა, რომ ატომის ენერგია გამოყენებული იქნება მშვიდობის საქმისა და ადამიანის კეთილდღეობისათვის.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებმა. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, ინგლისის, კორეის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა.

მოძრაობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის სამწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

ფხენიანი, 9 აგვისტო. (საკდესი). გაზეთები ყოველდღე აქვეყნებენ ცნობებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასის ახალ შრომით წარმატებათა შესახებ. ამა წლის გაზაფხულზე ხინამის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა რესპუბლიკის ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით სამწლიანი გეგმა (1954-1956) შეასრულონ 2 წელიწადსა და 8 თვეში. თავიანთი ვალდებულება მოწოდების ინიციატორებმა უკვე შეასრულეს ივნისში. გასულ 6 თვეში ხინამის რაიონის საწარმოებმა თავიანთ ქვეყანას მისცეს ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად დაზოგილია 63 ათასი ვონი.

შრომითი შეჯიბრების პირველ რიგებშია ხონამის ქიმიური სასუქების ქარხნის კოლექტივი. ივლისის დამლევს ქარხანამ თითქმის 200 პროცენტით შეასრულა სულფატამონიუმის წარმოების სამი წლის გეგმა. ვადაზე 7 თვით ადრე შეასრულეს საერთო პროდუქციის წარმოების სამი წლის გეგმა პონგუნის ქიმიური ქარხნის მუშაკებმა. მეტალურგიული მრეწველობის საწარმოთა შორის სამწლიანი გეგმა შეასრულეს ხვანხეს მეტალურგიული ქარხნის, სონჯის ფოლადსადნობი ქარხნის, ნამფხოს და მუნფხოს ფერადი ლითონების ქარხნების, ტეიუდონის სამადნოს და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

წარმატებით აღადგენენ ხვანხეს მეტალურგიულ ქარხანას. ამჟამად აქ ზოქმედებენ მარტენის საამქრო, მსხვილსორტული, წვრილსორტული ნაგლინის საამქროები, აგრეთვე მექანიკური საამქრო. ორი აღდგენილი მარტენი რეკონსტრუქციის შედეგად ახლა მეტ ფოლადს იძლევა, ვიდრე 5 მარტენი, რომლებიც ქარხანაში ომამდე მოქმედებდნენ.

სამხრეთ კორეის სამხედრო ბიუჯეტი

ფხენიანი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, სამხრეთ კორეის ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა დამატებითი ბიუჯეტი, რომელსაც აშკარა სამხედრო ხასიათი აქვს. პირდაპირი სამხედრო ხარჯები და პოლიციის შესანახავი ხარჯები შეადგენენ თითქმის 50 მილიარდ ხუანს ანუ მთელი სბიუჯეტო ხარჯების 68 პროცენტს.

ეძიებენ რა სახსრებს სამხედრო დაფინანსებისათვის, სამხრეთ კორეის ხელისუფლებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს გადასახადები, რომლებიც ახლა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ნახევარზე მეტს შეადგენენ.

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობამ ნება არ დართო იაპონელ სპეციალისტთა ჯგუფს ჩავიდეს კუნძულ ოკინავაზე

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობამ უარყო იაპონიის სოციალისტური პარტიის წევრთა ჯგუფის თხოვნა ჩავიდნენ კუნძულ ოკინავაზე.

როგორც ცნობილია, იაპონიის სოციალისტური პარტია პროტესტს აცხადებს კუნძულ ოკინავაზე ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის მიწების რეკვიზიციის წინააღმდეგ და უკვე რამდენჯერმე სცადა გაეგზავნა იქ თავისი წარმომადგენლები, რათა გაეცნო ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა, რომელიც ამ რეკვიზიციის ყველა სიმძიმეს განიცდის.

ეგვიპტის მხარდასაჭერად

ქაირო, 8 აგვისტო. (საკდესი). რადიოს ცნობით, სირიის პრემიერ-მინისტრი საბრი ასალი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბითარი გუშინ ბეირუთში ჩავიდნენ ლიბანის პრეზიდენტთან ქამილ შამუნთან, პრემიერ-მინისტრ ადდალაჰ იაფისთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სელიმ ლაჰუდთან შესახვედრად.

ისინი განიხილავენ შემდეგ საკითხებს: სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია, ლონდონის მომავალი კონფერენცია ამ საკითხზე და არაბთა ქვეყნების ლიგის პოლიტიკური კომიტეტის მომავალი სხდომა.

ბეირუთში გამგზავრების წინ საბრი ასალი შეხვდა საუდის არაბეთის ელჩს სირიაში. ამ უკანასკნელს უფრო გვიან საუბარი ჰქონდა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბითართან, რის შემდეგ მან განაცხადა, რომ საუდის არაბეთის პოზიცია სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის მიმართ ეგვიპტისა და სირიის პოზიციის ანალოგიურია.

• • •

ქაირო, 8 აგვისტო. (საკდესი). როგორც მენის სააგენტო იუწყება, სუდანის შინაგან საქმეთა მინისტრმა და სახალხო-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ალი აბდელ რაჰმანმა განაცხადა, რომ მისი პარტია იწონებს ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციას.

• • •

პეკინი, 8 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ბირმის პროფკავშირთა კონგრესმა განაცხადა, რომ ეგვიპტის ტერიტორიაზე მდებარე სუეცის არხის ნაციონალიზაცია ეგვიპტის სუვერენული უფლებაა და შეესაბამება ბანდუნგის კონფერენციის სულისკვეთებას.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბირმის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს ეგვიპტელი ხალხის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციას.

• • •

ქარაჩი, 8 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „კვეტა ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ ეგვიპტეს სრული უფლება აქვს განაგოს თავისი „საკუთარი სამფლობელოები". მეორე გაზეთი „თიჰადი", რომელიც ურდუს ენაზე გამოდის, აფრთხილებს დასავლეთს, რომ „ყოველი სახელმწიფო, რომელიც ძალას მიმართავს ეგვიპტის წინააღმდეგ, მთელი მუსლიმანური სამყაროს გულისწყრომას გამოიწვევს". ასეთსავე აზრს გამოთქვამენ სხვა გაზეთები, რომლებიც კვეტის ადმინისტრაციულ ოლქში გამოდის. მუსლიმთა ლიგის პარტიის ბელუჯისტანის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ისა-ხანმა განაცხადა, რომ „სუეცის არხის ნაციონალიზაციას მორალურად და მატერიალურად მხარს უჭერს დედამიწის 500 მილიონი მუსლიმანი".

• • •

ქარაჩი, 8 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „დოონი" იუწყება, ქალაქ ქარაჩის ადვოკატთა ასოციაციის კრებამ მიუღოცა ეგვიპტის მთავრობას სუეცის არხის ნაციონალიზაცია და სავსებით კანონიერად ცნო ეს აქტი.

კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ეგვიპტის მთავრობაზე ზემოქმედება ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ აშკარად ამხილებს მათს იმპერიალისტურ მისწრაფებებს.

პრემიერ-მინისტრ ნერუს განცხადება პარლამენტში

დელი, 8 აგვისტო. (საკდესი). როგორც დელის რადიო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დღეს პარლამენტში განაცხადა, რომ ინდოეთმა გადაწყვიტა მიიღოს მიწვევა კონფერენციაზე სუეცის არხის საკითხის შესახებ. მან განაცხადა, რომ მთავრობამ მიიღო საჭირო გარანტიები და დარწმუნდა, რომ ლონდონის კონფერენციაში მონაწილეობა არ ავნებს ეგვიპტის ინტერესებს, სუვერენულ უფლებებსა და ღირსებას. მთავრობისათვის სავსებით ნათელია, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, რომ იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს რაიმე კონფერენციაში, რომელიც მის მონაწილეებს შებოჭავდა წინათ მიღებული გადაწყვეტილებებით. მთავრობა აგრეთვე უარს იტყვის მონაწილეობა მიიღოს ყოველგვარ შეთანხმებაში სამხედრო მზადების ან ყოველგვარ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სადავოდ ხდიან ეგვიპტის სუვერენულ უფლებას. ინდოეთის მონაწილეობა კონფერენციაში სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი შეზღუდული ან შებოჭილია იმ ერთობლივი კომუნიკის პრინციპებით, რომელიც დასავლეთის სამმა სახელმწიფომ გამოაქვეყნა ლონდონში მათი ამასწინანდელი თათბირის შემდეგ.

პრემიერ-მინისტრი შეეხო სუეცის არხის პრობლემის ისტორიას და განაცხადა, რომ ეგვიპტის სუვერენიტეტი არხის მიმართ უეჭველია.

შეეხო რა განცხადებებს პრესაში დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო ღონისძიებათა შესახებ, ნერუმ განაცხადა, რომ მათ ააღელვეს საზოგადოებრივი აზრი არა მარტო ეგვიპტეში, არამედ არაბთა მთელ სამყაროში. აზიაში გაძლიერდა აღშფოთება.

ნერუმ დასძინა: არავითარი სუვერენი არა მაქვს გავაძლიერო ენერგია ღელვა, მაგრამ ვერ შევასრულებდი ჩემს მოვალეობას პარლამენტის წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნისა და ამ კრიზისის მხარეთა წინაშეც კი და არანაკლებ ინგლისისა და საფრანგეთის წინაშე, შემდეგი რომ არ მეთქვა: მუქარა დავის გადაჭრის მიზნით ან თავისი თვალსაზრისის თავსმოხვევა ამ საკითხში ძალის გამოყენებით სწორი გზა არ არის. მას არ გვიკარნახებს საღი მოსაზრება, იგი ანგარიშს არ უწევს თანამედროვე მსოფლიოს დ თანამედროვე აზიას.

ნერუმ დიდი მწუხარება გამოთქვა მიღებულ ღონისძიებათა გამო და ინდოეთის სახელით იმედი გამოთქვა, რომ ეს ღონისძიებანი შეწყდება და დაინტერესებული მხარეები დაიწყებენ მოლაპარაკებას და მიაღწევენ მოწესრიგებას.

ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთი არ ეთანხმება კონფერენციაზე მიწვეულთა სიას. ამ სიაში ბირმის შეუტანლობას ნერუმ სამწუხარო გამოტოვება უწოდა. იუგოსლავიამ, თქვა მან, აგრეთვე უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ კონფერენციაში.

დასასრულ ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთი დიდად არის დაინტერესებული, რომ სუეცის არხის პრობლემა მოწესრიგდეს ეგვიპტის სუვერენიტეტისა და ღირსების პატივისცემის საფუძველზე და მუქარის, ძალადობისა და ცალმხრივი მოქმედების უარყოფის შესახებ ყველა დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრის განცხადებას პარლამენტის ყველა დეპუტატი მისასალმებელი შეძახილებით შეხვდა.

ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში სუეცის არხის საკითხზე

დელი, 8 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დღეს სახალხო პალატაში გამოაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში სუეცის არხის საკითხზე.

სუეცის არხის რეკონსტრუქციის სამუშაოები

ქაირო, 8 აგვისტო. (საკდესი). ეგვიპტის ხელისუფალთა განკარგულებით დაიწყო მუშაობა სუეცის არხის ფარვატერის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, რათა არხში გავლა შეეძლოთ 55 ათასამდე ტონა წყალწყვის დიდ გემებს.

სუეცის არხის ადმინისტრაციის გამგეობის დირექტორმა მაჰმუდ იუნისმა განაცხადა, რომ არხის რეკონსტრუქციის პროექტი გათვალისწინებულია ხუთი წლისათვის. სამუშაოთა ღირებულება შეადგენს 20 მილიონ ეგვიპტურ გირვანქას.

გრძელდება ზემოქმედება ეგვიპტეზე

დალესის თათბირი ლათინური ამერიკის ქვეყნების ელჩებთან

ვაშინგტონი, 8 აგვისტო. (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტში გამოცხადდა, რომ 7 აგვისტოს სახელმწიფო მდივანი დალესი შეხვდა ლათინური ამერიკის 20 ქვეყნის ელჩებს. თათბირი გაიმართა დალესის თხოვნით და, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის სიტყვით, მოწვეული იყო „იმის განსახილველად, რაც გამოარკვა სუეცის არხთან დაკავშირებულ ამასწინანდელ მოლაპარაკებებზე ლონდონში". თათბირზე, თქვა წარმომადგენელმა, გამოითქვა „არაოფიციალური აზრები არხის ზონაში შეიარაღებული ძალის გამოყენების იურიდიული გაზართლების შესახებ".

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი რეიმონტი იუწყება, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, რომელიც თათბირის შემდეგ გაიმართა, პანამის ელჩმა ვაშინგტონში ვალიარინმ გასაგებად თქვა, რომ დალესმა შექმნილი სიტუაცია „შავი სალებავებით" დახატა.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონში რენკინი ამ თათბირს ახასიათებს როგორც იმას, რომ დალესი განაგრძობს თავის „კამპანიას „მორალური ძალების" მობილიზაციისათვის, რათა მხარი დაუჭიროს ინგლისს, საფრანგეთისა და ამერიკის აზრს, რომ სუეცის არხი საერთაშორისო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს".

ინდონეზიის მთავრობის განცხადება სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ

ჯაკარტა, 9 აგვისტო. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობამ გააკეთა განცხადება სუეცის არხის საკითხზე. ინდონეზია, ნათქვამია განცხადებაში, აღიარებს, რომ ეგვიპტეს, როგორც დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს, სრული უფლება აქვს მოახდინოს სუეცის არხის კომპანიის როგორც ეგვიპტის საწარმოს ნაციონალიზაცია. მთავრობა რწმენას გამოთქვამს, რომ ეგვიპტეს შეუძლია უზრუნველყოს არხში ნაოსნობის თავისუფლება. ინდონეზიას, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, საჭიროდ მიაჩნია გამოთქვას შეშფოთება იმ სამხედრო მზადების გამო, რაც მხოლოდ აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას და ქმნის ომის საფრთხეს. ინდონეზიას მიაჩნია, რომ სამხედრო მზადება უნდა შეჩერდეს და სუეცის არხის საკითხის გადაჭრისას გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი საშუალებანი.

რაც შეეხება მიწვევას დაესწროს 24 ქვეყნის კონფერენციას ლონდონში 16 აგვისტოს, რაც ინდონეზიას ინგლისის მთავრობამ გადმოსცა, ინდონეზიის მთავრობა თავის გადაწყვეტილებას გადადებს მანამდე, სანამ არ მიიღებს დამატებით ახსნა-განმარტებას ინგლისის მთავრობისაგან და შესაბამის ინფორმაციას აზიისა და აფრიკის მეგობრული ქვეყნებისაგან.

მსოფლიოში უდიდესი ტანკერი

ტოკიო, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, კურას გემთსაშენ ვერფში წყალში ჩაუშვეს მსოფლიოში უდიდესი ტანკერი. ამ გიგანტის წყალწყვა უდრის 84.730 ტონას, მისი სიგრძეა 259,4 მეტრი. მას შეუძლია წაიღოს იმდენი საწვავი, რამდენიც 300 ათას ავტომობილს ეყოფოდა სამუშაოდ ერთი თვის განმავლობაში. ტანკერი აგებულია ლიბერიის სანაოსნო კომპანიის შეკვეთით.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

ასპარეზობის მეხუთე დღე

მოსკოვი, 9 აგვისტო. (ტელეფონით). დედაქალაქის ცენტრალურ სასპორტო ბაზებზე მეხუთე დღეა გრძელდება საბჭოთა სპორტის ისტორიაში ყველაზე მასობრივი და გრანდიოზული ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა.

ასპარეზობათა საერთო სახეობების რიცხვმა 17-ს მიაღწია. გასულ შეხვედრებში შეგროვებულ ქულათა რაოდენობის მიხედვით წინ არის დედაქალაქის სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივი, რომელსაც შეგროვებული აქვს 266 ქულა, მეორე ადგილზეა რსფსრ ნაკრები გუნდი — 230 ქულა, მესამეზე ლენინგრადი — 209,5 ქულა, მეოთხეზე უკრაინა — 208 ქულა, მეხუთეზე საქართველო — 168 ქულა, მეექვსეზე ესტონეთი — 159 ქულა. აქ ჩამოთვლილი პირველი ექვსი ადგილი ცნობილია როგორც საპრიზო ადგილები.

დამთავრდა გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში. ეს შეხვედრები, რომლებიც 3 აგვისტოს დაიწყო, ექვს დღეს გრძელდებოდა. ფინალში ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძოდნენ მოსკოვისა და უკრაინის გუნდები. დედაქალაქის ძლიერმა კოლექტივმა დაამარცხა უკრაინის ჩოგბურთელები ანგარიშით 12:3 და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივი. მესამე და მეოთხე ადგილებისათვის იბრძოდნენ ესტონეთისა და ლენინგრადის გუნდები. გაიმარჯვეს ესტონელებმა 9:6. ამრიგად, ესტონელთა დაიკავა მესამე, ხოლო ლენინგრადმა მეოთხე ადგილი. მომდევნო ორი საპრიზო ადგილისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ რსფსრ და საქართველოს ნაკრები გუნდები. საქართველოს გუნდმა მოიგო ეს შეხვედრა ანგარიშით 8:4 და მეხუთე ადგილი დაიკავა.

როგორც ვიუწყებოდით, პირველი მსოფლიო რეკორდი სპარტაკიადაზე ქვეყნისუბუქი წონის შტანგისტთა შორის დაამყარა მონაეგმა. არ გასულა დიდი დრო, და ამას მეორე დიდი გამარჯვება მოჰყვა — მსუბუქი წონის შტანგისტმა ხაბუტდინოვამ (რსფსრ ნაკრები გუნდი) ორი ხელით შტანგის აწევაში აჩვენა 123 კილოგრამი, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია. ქვემსუბუქ წონაში პირველი ადგილი დაიკავა უდოდოვმა, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 340 კილოგრამი. ჩიმიშეანი გამოვიდა მესამე ადგილზე. დღეს შეჯიბრება გრძელდებოდა. ქვესაშუალო წონის შტანგისტთა ასპარეზობა კიდევ ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. ბოგდანოვმა ორი ხელით აწია 134 კილოგრამი. 3 წონითი კატეგორიის ასპარეზობის შემდეგ წინ არის მოსკოვის გუნდი.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შემდინარეობს კალათბურთელთა ასპარეზობა. უკანასკნელი დღის შეხვედრები ფინალში მონაწილეობისათვის ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით. დღევანდელი მატჩების შედეგები ასეთია: ქალთა გუნდები — საქართველო-უზბეკეთი 63:47, ლენინგრადი-ყირგიზეთი 92:30, ლიტვა-აზერბაიჯანი 73:38; ვაჟთა გუნდები — უკრაინა-კარელია 92:39, ლატვია-უზბეკეთი 81:46, ესტონეთი-მოლდავეთი 83:44, რსფსრ და საქართველოს ვაჟთა გუნდების მატჩი შედგება გვიან საღამოს. ხვალ გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები ჯგუფებში.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტის 22 სახეობაში ყველაზე მასობრივია მძლეოსნობა. ეს შეჯიბრება დაიწყო დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ახალ სტადიონზე. გაიმართა საკავალერიო შეხვედრები 100 მეტრზე რბენაში, გამორბენით სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში და მძლეოსნობის სხვა სახეობებში. 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა სანაძემ აჩვენა დრო 11,2 წამი და იგი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ შეხვედრებში. ყველაზე უკეთესი დრო ამ დისტანციაზე იყო 10,8 წამი. სიგრძეზე ხტომაში დალაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა (5 მეტრი 32 სანტიმეტრი). [illegible] ლენინის სახელობის ცენტრალურ სასპორტო ბაზებზე შეიტყობ [illegible] ... 125 [illegible] ... ლენინის სახელობის ... — შეხვედრებში.

დედაქალაქის ცენტრალურ სასპორტო ბაზებზე შეხვედრები ტყვიითა და სასტენდო სროლაში. გუშინ დამთავრდა შეჯიბრება საბრძოლო შაშხანის 300 მეტრზე სროლაში სამი მდგომარეობიდან. მოსკოველმა სპორტსმენმა ბოგდანოვმა ამ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. გუნდურ ჩათვლაში კარგი შედეგი აქვს რსფსრ ნაკრებს გუნდს. სასტენდო სროლაში 9 აგვისტამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით წინ იყო რსფსრ გუნდი. საქართველოს გუნდმ ადგილიდან სროლაში (200 სამიზნე) მეექვსე ადგილი დაიკავა.

მოკრივეთა შეჯიბრებას სპორტის ბრაგადა მოყვარული ეესწრება. ყოველდღიურად ამ ... თება შეხვედრები ყველა წონაში. დღეს გაიმართა მორიგი შეხვედრები. საქართველოს გუნდის წარმომადგენლებიდან გაიმარჯვეს უმჩატეს წონაში — კალაჯიევმა, ქვემსუბუქ წონაში — ასატიანმა, პირველ ქვესაშუალო წონაში — კოზაევმა. შეჯიბრება გრძელდება საცურავ აუზში მიმდინარეობს შეხვედრები ცურვაში, წყალბურთში და წყალში ხტომაში. საქართველოს გუნდმა წყალში ხტომაში მეხუთე ადგილი დაიკავა.

წარმატებით გრძელდება შეჯიბრება წყალბურთში. საქართველოს გუნდი ინარჯებს ლიდერობას თავის ჯგუფში.

დასასრულს უახლოესდება შეხვედრები ... ვისუფალ ჭიდაობაში. დღემდე საქართველოს გუნდის წევრებიდან ყველაზე კარგი [illegible] ნებები აქვთ ცალკალაშნიძესა და ბალავაძეს. გრძელდება აგრეთვე შეჯიბრება ... სპორტში, ტანვარჯიშში, ცხენოსნობაში, ... რიკაობაში და სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა სახეობებში.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

ფაბრიკის ახალი შენობა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, რომელიც დღემდე მოუხერხებელ ბინაში იყო მოთავსებული, გადავიდა ახალ ორსართულიან კაპიტალურ შენობაში. ამჟამად ფაბრიკას საკმაო ფართობი აქვს. პირველ სართულზე დაიდგა და დამონტაჟდა ახალი მექანიზმები. ტრიკოტაჟის რეკონსტრუირებული ფაბრიკა ყოველწლიურად 1.500 ათასი მანეთის პროდუქციას გაგზავნიდა.

შენობის აგებასა და მის კეთილმოწყობაზე ნახევარ მილიონ მანეთამდე დაიხარჯა.

სურათზე: ადგილობრივი მრეწველობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ახალი შენობა.

ფოტო გ. გოგობიანი.

ლექცია

10 აგვისტოს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლექტორიუმში (ლენინის ქუჩა, 35) შედგება ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა". ლექტორი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი კ. ტაბატაძე.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელთა ახალი შევსება

პრეს-კონფერენცია ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში

8 აგვისტოს მოსკოვში, ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში, გაიმართა სსრ კავშირის უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში მომავალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია. განცხადება საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა წინაშე გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ნ. სტოლეტოვმა. მან თქვა, რომ წელს ჩვენი ქვეყნის დღის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებენ 222.400 კაცს. უმაღლესი განათლების მიღებისადმი საბჭოთა ახალგაზრდობის უდიდესი მისწრაფების გამო განცხადებათა რაოდენობა, რომლებიც მიმღებ კომისიებში შემოვიდა, როგორც წესი, მნიშვნელოვნად აღემატება თავისუფალი ადგილების რაოდენობას. მაგალითად, მოსკოვის ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებლებში დახარჯულია მიიღონ 3.925 კაცი, ხოლო განცხადება შემოტანილია 14 ათასზე მეტი. დედაქალაქის მანქანათმშენებელ და ენერგეტიკულ ინსტიტუტებში მიიღებენ 7.305 კაცს, ამ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რაოდენობა 21 ათასს აღემატება. დაახლოებით ასეთივე შეფარდებაა სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. კონკურსი შესაძლებელს გახდის შევარჩიოთ ყველაზე ღირსეული ჭაბუკები და ქალიშვილები.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვანი შეღავათები ეძლევათ ადამიანებს, რომლებმაც უკვე იმუშავეს წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, იმსახურეს არმიაში.

ილაპარაკა რა იმათზე, ვინც არ იქნება ჩარიცხული სტუდენტთა სიებში, ვ. ნ. სტოლეტოვმა აღნიშნა, რომ მათ წინაშე გახსნილია მოღვაწეობის ფართო ასპარეზი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მუშაობა ცხოვრების შესანიშნავი სკოლა იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის, დახმარებას გაუწევს მას სწორად აირჩიოს პროფესია.

გარდა ამისა, ამ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ეძლევათ დიდი შესაძლებლობა გაიუმჯობესონ ცოდნა ძირითად სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ. წელს მნიშვნელოვნად ფართოვდება საღამოს და დაუსწრებელი სწავლების უკვე არსებული ქსელი, ბევრ სამრეწველო ცენტრში იხსნება ათობით ახალი ფაკულტეტი და ფილიალი. საღამოს განყოფილებას ქარხანა „მოსკაბელში" ხსნის უძველესი საინჟინრო სასწავლებელი — მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. ქალაქ კოლომნაში მუშაობას დაიწყებს მოსკოვის მანქანათმშენებლობის საღამოს ინსტიტუტის ფილიალი, მაკეევკაში — დონეცის ინდუსტრიული ინსტიტუტის განყოფილება. ახალი დაუსწრებელი ფაკულტეტები შეიქმნა მოლოტოვის სამთო ინსტიტუტში, ხაბაროვსკის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში და სხვ.

უპასუხა რა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების მრავალ კითხვაზე, ვ. ნ. სტოლეტოვმა განაცხადა, რომ 1 სექტემბრიდან მეცადინეობა დაიწყება ჩვენი ქვეყნის ბევრ ახალ უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ სტალინაბადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სვერდლოვსკის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ელექტრომექანიკურ ინსტიტუტში, კუბანი შეავსებ კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში.

წელს საბჭოთა სტუდენტები მიიღებენ სამასზე მეტ სახელმძღვანელოს. მათი საერთო ტირაჟია 8 მილიონ ცალი.

დამსწრეებს აინტერესებდათ საბჭოთა უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოება. ვ. ნ. სტოლეტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში წელს ნავარაუდევია მიღება 2,5 ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი უცხო ქვეყნებიდან. თავის მხრივ საბჭოთა ახალგაზრდები ისწავლიან ნორვეგიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ფინეთში, ჩინეთში, ინდოეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, რუმინეთსა და სხვა ქვეყნებში. (საკდესი).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, თბილისი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — გული უნდა დუმდეს, **ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — მდევარი, **კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი** — დოქტორი რობერტ მაიერი, **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — რისხვის ალი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ერთი ჭიქა ლუდი, **კოლხიდა** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო) — შეხვედრა, **დიდუბე** (საზაფხულო), **მილიციის სამმართველოს ძ